



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო

უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტო პროგრამა

სასარჩელო ხანდაზმულობა და მისი გამოთვლის წესი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი

ზაზა ტეფნაძე

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

დავით სუხიტაშვილი

თბილისი

2021

Contents

Annotation.....	5
შესავალი.....	6
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	9
თავი II. სამოქალაქო ვადების ცნება და მათი დანიშნულება	10
თავი III სასარჩელო ხანდაზმულობის არსი, საგანი და მიზანი.....	13
3.1. სარჩელო ხანდაზმულობის ცნება და არსი	13
3.2. სასარჩელო ხანდაზმულობის მიზანი	14
თავი IV. ხანდაზმულობა და სასარჩელო ხანდაზმულობა	17
4.1. სასარჩელო ხანდაზმულობა	17
4.2. შეძენითი ხანდაზმულობა	17
თავი V. ხანდაზმულობის საგანი	20
5.1. ნორმის მოქმედების სფერო	20
5.2. ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების დროში მოქმედების თავისებურებანი.	20
5.3. ხანდაზმულობის ვადების იმპერატიული ბუნება	21
5.4. გამონაკლისები, რომელზედაც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადის მოქმედება ...	24
5.5. ხანდაზმულობის ვადა და მისი მიმართება საკუთრების უფლებასთან	25
5.6. ხანდაზმულობის ვადის კავშირი პროცესთან	27
თავი VI.	31
სასარჩელო ხანდაზმულობის სახეები	31
6.1. სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადა.....	31
6.2. სახელშეკრულებო სასარჩელო ხანდაზმულობა.....	32
6.3. სასარჩელო ხანდაზმულობა დელიქტით წარმოშობილ მოთხოვნებზე	32
თავი VII.	35
სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მისი გამოთვლის წესი	35
7.1. სასარჩელო ხანდაზმულობის დაწყების საერთო წესი	35
7.2. ხანდაზმულობის ათვლის ობიექტური და სუბიექტური სისტემები	36
7.3. ვადის ათვლა დელიქტის დროს და მისი შედარება ზოგად წესთან	38
7.4. სასამართლოს გამამტყუნებელი როგორც ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტი	40
7.5. უპირატესი დაცვის სტანდარტი	45

7.6.პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადა	47
7.7.ხანდაზმულობის სხვა სპეციალური ვადები.....	49
თავი VIII.	52
ხანდაზმულობის ვადის შეჩერება	52
თავი IX. ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა.....	55
9.1.სარჩელის შეტანა, როგორც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი	55
9.2. ვალის (მოთხოვნის) აღიარება, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი.....	57
9.3.ხანდაზმულობის ვადის დენის ხანგრძლივობა.....	59
თავი X. კვლევის შედეგები	60
დასკვნა	60
გამოყენებული ლიტერატურა.....	62
ქართულენოვანი ლიტერატურა	62

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი ქართული სამართლის მიხედვით და შესადარებლად განხილულია, აგრეთვე, ევროპული კანონმდებლობაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

ხანდაზმულობის ინსტიტუტი უკავშირდება იურიდიული შედეგის მქონე მოქმედებათა განხორციელებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლას, რის შემდეგაც მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ვადის გასვლა ხელშემკვრელი მხარეებისათვის წარმოშობს უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ შედეგებს და არსებითად მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით ხანდაზმულობის ვადის ხანგრძლივობა გონივრული, ხოლო მისი წარმოშობის მომენტი მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვრული იყოს.

ხანდაზმულობის ინსტიტუტი აქტუალურობას არ კარგავს სამოქალაქო სტაბილურობის და მხარეთა ინტერესების თანაბარი დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე და სწორედ ამ საჭიროებიდან გამომდინარე არღვევს კერძო სამართლისათვის ისეთ აუცილებელ ძირითად პრინციპს, როგორცაა სახელშეკრულებო თავისუფლება.

მაშასადამე, ქვემოთ მოცემულ თავებში განვიხილავთ სწორედ სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტს და მის მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოებაში.

ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, სარჩევს, შესავალს, ძირითად თემას (რომელიც დაყოფილია თავებად და ქვეთავებად), დასკვნას და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალს.

Annotation

The statute of limitation is discussed in the present paper under Georgian law and, comparatively, discusses European legislation in this regard.

The statute of limitations is related to the expiration of a period specified for the implementation of actions having legal effect. After which the right to claim exists objectively, although it is unenforceable. Therefore, the expiration of this period had the most significant legal consequences for the Contracting Parties, and it is essential that the length of the statute of limitations is reasonable by law and that the time of its occurrence be as precisely defined as possible.

The statute of limitations does not lose its relevance due to the need for civil stability and equal protection of the interests of the parties, and due to this need violates the principle necessary for private law, the freedom of contract.

Therefore, in the following chapters we discuss the institution of statute of limitations and its importance in civil society.

The paper includes an annotation, table of contents, introduction, main topic (divided into chapters and subsections), conclusion and a list of used literature.

შესავალი

ხანდაზმულობა ვადის დენის შედეგად დამდგარი მოვლენაა, რომელსაც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. სასარჩელო ხანდაზმულობა, ეს კანონით დადგენილი ვადაა, რომლის განმავლობაშიც უფლებაშელახულ პირს საკუთარი უფლების დაცვა შეუძლია იძულებითი მექანიზმების გამოყენებით.

ნაშრომში განხილულია ხანდაზმულობის ვადის არსი და მნიშვნელობა როგორც მხარეთათვის, აგრეთვე სამოქალაქო სტაბილურობისათვის. განხილულია, თუ რამდენად ლეგიტიმურია მიზნები, რომლებსაც ემსახურება ამგვარი ვადების დაწესება.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები კანონმდებლობით მკაცრადაა განსაზღვრული, რაც უცხოა კერძო სამართლისთვის, რომელიც კერძო ავტონომიასა და სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპზეა დაფუძნებული.

ნაშრომის საკვლევი თემაა, თუ რამდენად აუცილებელია ამგვარი იმპერატიული ბუნების მქონე ვადების დაწესება კერძო სამართალში კანონმდებლის მიერ და რამდენად ლეგიტიმურია ის ინტერესი რომელსაც ეს „აუცილებელი ბოროტება“ ემსახურება.

იმპერატიული ნორმების არსებობა კიდევ უფრო მეტად გვაკლდებულებს, რომ ვიკვლიოთ, რამდენად გონივრულ (გონივრული ხანგრძლივობის) ვადებს გვიწესებს კანონი, რომლებსაც მხარეები საკუთარი შეთანხმებით ვერ შეცვლიან.

ნაშრომის მიზანია შეფასდეს, რამდენად გონივრულია გარკვეული სახელშეკრულებო მოთხოვნის განხორციელებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა ან რამდენად იძლევა ეს ვადა მისი დაწესების მიზნის რეალიზაციის შესაძლებლობას.

ნაშრომის საკვლევი თემაა, აგრეთვე, ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტი და აქედან გამომდინარე მოვალის უპირატესი დაცვის სტანდარტი დელიქტურ მოთხოვნაზე. უფლების დარღვევისა და მისი გაცნობის მომენტი ზოგჯერ დროში აცდენილია. ხოლო თუ როდიდან აითვლება ხანდაზმულობის ვადა, კანონი სხვადასხვა გარემოებების მიხედვით განსაზღვრავს. გარდა ამისა, ხანდაზმულობის ვადის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენიც სისხლის სამართლის საქმეზე, თუმცა არც ეს მიდგომაა აბსოლუტურად ერთგვაროვანი. შესაძლოა საქმეზე არსებობდეს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი და მოთხოვნის უფლებისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა მაინც იმ დღიდან დაიწყოს, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. კვლევის მიზანი სწორედ ამ განსხვავებების ლეგიტიმურობის შემოწმებაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საინფორმაციო რესურსებზე წვდომა ბოლო ათწლეულის განმავლობაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. შესაბამისად დღეისათვის

საზოგადოების გაცილებით დიდი ნაწილია ინფორმირებული ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსებობასთან დაკავშირებით. საზოგადოების ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია, რადგან ხანდაზმულობის ვადის სამართლებრივი მოწესრიგების ბუნებიდან გამომდინარე, სასამართლოში ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრა მხოლოდ მხარეს შეუძლია და მოსამართლე უფლებამოსილი არ არის მასზე მიუთითოს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტად ინფორმირებული ხდება მოსახლეობა აღნიშნული სამართლის ინსტიტუტის შესახებ, მით მეტია მისი გამოყენება და მით მეტადაა საზოგადოება დაინტერესებული აღნიშნული ინსტიტუტის საფუძვლებით. შედეგად, სასამართლო პერიოდულად ახალ პრაქტიკას უდებს საფუძველს ხანდაზმულობის ვადების მომწესრიგებელ ნორმებთან დაკავშირებით და საკითხი აქტუალურობას არ კარგავს.

მაშასადამე, სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტი აქტუალურობას არ კარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველად გამოყენებულია დოგმატური და ნორმატიული კვლევის მეთოდები. კვლევა ეფუძნება სასამართლო პრაქტიკას, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა 2000 წლიდან მოყოლებული იცვლება და პერიოდულად ახალ სიტყვას ამბობს. მეთოდოლოგიურ საფუძველად გამოყენებულია, აგრეთვე შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდიც.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ჩამოყალიბებულია რვა თავად:

პირველი თავი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას. განსაზღვრულია სამოქალაქო ვადების ცნება და მათი დანიშნულება, რათა წარმოდგენილ იქნეს ხანდაზმულობა, როგორც სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული ვადა.

მეორე თავში სასარჩელო ხანდაზმულობის არსი, საგანი და მიზანია ჩამოყალიბებული.

მესამე თავი ხანდაზმულობის ზოგადი არსიდან გამოჰყოფს სასარჩელო ხანდაზმულობას.

ნაშრომის მეოთხე თავით ხანდაზმულობის საგანია განსაზღვრული, მისი ბუნება, დროში მოქმედების თავისებურებანი და ის საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებზეც ხანდაზმულობის ვადები არ ვრცელდება.

მეხუთე თავში ხანდაზმულობის სახეებია კლასიფიცირებული.

მეექვსე თავი ხანდაზმულობის ვადის გამოთვლას და მისი მნიშვნელობის გააზრებას ემსახურება.

მეშვიდე და მერვე თავები ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას და შეწყვეტას ეხება.

ნაშრომის ბოლო თავში კი კვლევის შედეგებია წარმოდგენილი.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენე ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა, რომ თემა შეხებოდა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. ამ მხრივ, სხვა ლიტერატურასთან ერთად, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალები, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალები და „საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში“. ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

კვლევაში განსაკუთრებით დამეხმარა სასამართლო პრაქტიკა. ნაშრომში გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკა 2000 წლიდან დღემდე. ამ მხრივ ძალიან საინტერესოდ იკვეთება ხანდაზმულობის ინსტიტუტის რაობა და მასში ასახული პრაქტიკული ცვლილებები.

ქართულ ლიტერატურასთან ერთად დამეხმარა უცხოენოვანი ლიტერატურაც, რომელიც ინტერნეტში მოვიძიე. ასეთები იყო “New law of obligations in Germany“, Manfred LOWISCH და “Periods of limitation and Other Time Limits in Europe“, Commercial law group. უცხო ქვეყნებთან შედარებითი ანალიზი, რა თქმა უნდა, ამ დასახელებული უცხოენოვანი ლიტერატურით არ შემოიფარგლება. სხვა უცხოური ლიტერატურა გამოყენებული იყო იმ ქართულენოვან ლიტერატურაში, რომლებიც ჩემი ნაშრომის ძირითადი საკითხების კვლევაში დამეხმარა.

თავი II.

სამოქალაქო ვადების ცნება და მათი დანიშნულება

დროის ფაქტორი გადამწყვეტია ვალდებულების შესრულების, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტებისთვის. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვადებისადმი ინტერესი მარტივი მიზეზითაა გამოწვეული — კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედება სწრაფად და ეფექტურად, ურთიერთობის სუბიექტებისათვის მისაღებ, ამავდროულად, მხარეებისათვის განჭვრეტად დროში უნდა განხორციელდეს, რაც ვადების გამოთვლის საერთო წესების დადგენითაა შესაძლებელი.

ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.¹

ვადებს სამოქალაქო სამართალში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ მოთხოვნის განხორციელებადობის საკითხის შემოწმებისას. იმისათვის რომ მოთხოვნა იყოს განხორციელებადი, პირველ რიგში ამ მოთხოვნის შესრულების ვადა უნდა იყოს დამდგარი, და მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. მოთხოვნა არ უნდა იყოს ხანდაზმული².

სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს სხვადასხვა ტიპის ვადებს. ქართულ სამოქალაქო სამართალში აღიარებულია ვადების შემდეგი კლასიფიკაცია. 1. სამოქალაქო უფლების წარმოშობის ვადები; 2. სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები; 3. ვალდებულების შესრულების ვადები; 4. უფლების დაცვის, ე.წ. ხანდაზმულობის ვადები.³

სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები ის ვადებია, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია თვითონ განახორციელოს თავისი უფლება ან თავისი უფლების განხორციელებისთვის მოითხოვოს ვალდებული პირისგან განსაზღვრული მოქმედების შესრულება. აქ მოიაზრება სამოქალაქო უფლების არსებობის ვადები, რომლებიც განსაზღვრავენ უფლების მოქმედების ფარგლებს დროში. ასევე სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადებად ითვლება საგარანტიო და საპრეტენზიო ვადებიც.⁴

საგარანტიო ვადა ნივთის ხარისხიანობის შესახებ ინფორმაციუს შემცველი წინაპირობაა, რომლის განმავლობაშიც წუნის აღმოჩენა ნაკლის არსებობასთან ასოცირდება. ამგვარი დათქმა

¹ ახვლედიანი. (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 121 (გვ.306)

² თამარ ზარანდია. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, (გვ 4)

³ შენგელია, რ. (თ. გ.). საავტორო სამართალში მოქმედი ვადები. (გვ. 127)

⁴ ახვლედიანი, ზ. (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 121 (გვ.308)

წინააღმდეგობაში არ მოდის სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ვადებთან. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად ხანდაზმულობის პერიოდის განვრცობას ემსახურება.⁵ თავის მხრივ, ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს შორის არსებობს კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი. საგარანტიო ვასა ხანდაზმულობის ვადას არ მოიცავს, ეს ნიშნავს, რომ თუ სახელშეკრულებო ხანდაზმულობის ადა სამ წელს შეადგენს, მისი ათვლა იწყება სწორედ საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, საგარანტიო ვადის დადგენით მხარე, ერთი მრივ, კომერციული მიზნებისთვის გათვალისწინებულ ქმედებას ახორციელებს, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ადგენს მოთხოვნის პერიოდულობას. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების რეალიზაცია კლასიკური გაგებით, სწორედ საგარანტიო ვადით არის წარმოდგენილი და აბსოლუტურად ეფუძნება მხარეთა ნებას,⁶ მაშინ, როდესაც, ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის თაობაზე მხარეთა შეთანხმება დაუშვებელია და ნორმა მთლიანად იმპერატიული ბუნებისაა.

პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია ხანდაზმულობისა და საპრეტენზიო ვადების გამიჯვნა. აღნიშნულთან მიმართებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს განმარტებული აქვს შემდეგი: მიუხედავად მათი მსგავსებისა, ხანდაზმულობის ვადა უნდა გაიმიჯნოს უფლების განხორციელების სხვა ვადებისაგან, კერძოდ კი -კონტრაპენტისადმი, ან კანონით განსაზღვრული პირისადმი მიმართვის ვადებისაგან. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებული პირისადმი მიმართის ვადა სამართალწარმოების ეკონომიურობის მიზნითაა შემოღებული და დარღვეული უფლების აღდგენის საკითხის მხარეთა შორის ნებაყოფლობით მოწესრიგებას ემსახურება. ხანდაზმულობა კი დარღვეული უფლების იძულების წესით დაცვისთვის დადგენილი ვადაა. პალატის განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ეხება არა სასარჩელო ხანდაზმულობას, არამედ პრეტენზიის წარდგენის ვადას. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, ხოლო დამქირავებელს უფლება აქვს წაუყენოს მას პრეტენზია გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე ექვსი თვის განმავლობაში. პალატის პოზიციით, მითითებულ ნორმაში პრეტენზიის წარდგენა არ გულისხმობს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადას. როგორც თვით ნორმიდან ირკვევა, ამ პრეტენზიას წარუდგენს დამქირავებელი გამქირავებელს და აღნიშნულ მუხლში საუბარი არ არის ამ ვადაში სარჩელის სასამართლოში წარდგენის თაობაზე. შესაბამისად, ასეთ

⁵ ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017 წ. (გვ. 290)

⁶ ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017 წ. (გვ. 292)

შემთხვევებში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს წელს თანახმად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილისა.⁷

კანონმდებლობით გათვალისწინებულია შეცილების ვადებიც, რომლებიც საპრეტენზიო ვადებს ჰგავს. მათ შორის მთავარი განსხვავება გარიგების ბუნებიდან მოდის. საცილო გარიგებებში შეცილების უფლება წარმოადგენს არა მხოლოდ გარიგების გაუქმების, არამედ მისთვის ნამდვილობის მინიჭების საფუძველს.⁸ განსხვავებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს წარმოადგენენ აგრეთვე ხანდაზმულობისა და შეცილების ვადები. ხანდაზმულობა ფაქტთანაა დაკავშირებული და მასზე მითითება მოპასუხის უფლებაა. შეცილების ვადის დაუცველობა კი პირდაპირ გამორიცხავს მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რადგან თუნდაც მხარემ ამაზე არ მიუთითოს მოსამართლე ვალდებულია გამოიკვილოს შეცილების საკითხი და გადაწყვეტილება ამაზე დაყრდნობით მიიღოს.⁹

⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი.(გვ.142)

⁸ ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი, 2011, (გვ.397)

⁹ კროპკოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. 2014 წ, 143-ე პარაგრაფი.

თავი III

სასარჩელო ხანდაზმულობის არსი, საგანი და მიზანი

3.1. სარჩელო ხანდაზმულობის ცნება და არსი

ხანდაზმულობის ინსტიტუტი რომის სამართლიდან მომდინარეობს. კლასიკური რომის სამართალი ხანდაზმულობის ცნებას არ იცნობდა; მისი აღმნიშვნელი ტერმინი რომელმაც იურისტებმა ახ. წ. V საუკუნეში შეიმუშავეს. ქართულ სამოქალაქო სამართალში ხანდაზმულობის ინსტიტუტი უცხო სამართლიდან არის ნასესხები. კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით, იგი მატერიალურ სამართალს განეკუთვნება, ხოლო ანგლოსაქსურ სამართალში ეს ინსტიტუტი საპროცესო სამართლის კუთვნილებაა.¹⁰

ძველი ქართული სამართლის ძეგლებში ხანდაზმულობა დროის განსაზღვრულ მონაკვეთზე მითითებით ან დროის სინონიმებით (ხანი, ჟამი) არის გამოყენებული. როგორც სამართლებრივი ტერმინი ხანდაზმულობა ქართულ ნორმატიულ აქტებში 1923 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან იღებს სათავეს. „ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე.¹¹

სასარჩელო ხანდაზმულობა ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც შელახულია, შეუძლია მოითხოვოს იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.¹²

ყველა პირისთვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. უფლების სასამართლო წესით დაცვა ცალსახად გამოიხატება დარღვეული უფლების აღდგენაში. თუმცა, იგი დამოკიდებულია ადამიანის ნებაზე- მიმართოს სასამართლოს. შეუძლებელია სასამართლო წესით დაცვა თუ ადამიანი არ მიმართავს სასამართლოს. სწორედ ამ საკითხს უკავშირდება სასარჩელო ხანდაზმულობის ინსტიტუტიც. დარღვეული უფლების აღდგენა ხშირ შემთხვევაში გარკვეულად შემოფარგლულია კანონმდებლობით დადგენილი ვადებით. იმ შემთხვევაში, თუ

¹⁰ ამირანაშვილი, გ. უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი 2013 წ. (გვ.62)

¹¹ კვანტალიანი, ნ. (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1). (გვ.720)

¹² ნაჭყებია, ა. (თ. გ.). სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013). (გვ.568)

პირი კანონით დადგენილ ვადაში არ მიმართავს სასამართლოს, შესაძლოა, სარჩელი აღარ დაკმაყოფილდეს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.¹³

ხანდაზმულობის ცნების განსაზღვრისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხანდაზმულობა იწვევს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობის შეწყვეტას, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში მიმართვის უფლების შეწყვეტა.¹⁴ პირს ნებისმიერ დროს შეუძლია სასამართლოსთვის მიმართვა და თავისი მოთხოვნის დაყენება, თუნდაც ეს მოთხოვნა ხანდაზმული იყოს. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. ანუ, ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.¹⁵

3.2. სასარჩელო ხანდაზმულობის მიზანი

ხანდაზმულობის მიზანი მოვალის დაცვა და დროის გასვლის გამო მტკიცების სირთულეებისგან მისი გათავისუფლებაა. დაცულია ასევე მოვალის ნდობა, რომ მოთხოვნის უფლებები მის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული.¹⁶ უფლების სასარჩელო წესით დაცვის დროში შეზღუდვა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით.

ამ ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გამარტივება. ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ზოგჯერ შეუძლებელიც კი ხდება სადავო გარემოებების უტყუარად აღდგენა და პირები, რომლებსაც უსაფუძვლოდ წაეყენათ მოთხოვნა, აღარ ფლობენ თავის დასაცავად აუცილებელ მტკიცებულებებს. ეს რომ არ მოხდეს და სასამართლო პროცესი დროის ხარჯვად არ იქცეს, კანონმდებელმა უფლებამოსილ პირს უფლების

¹³ ნაჭყებია, ა. (თ. გ.). სამოქალაქო სასამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013). (გვ. 341)

¹⁴ ახვლედიანი. (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 128. (გვ.317)

¹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N28/5464-13

¹⁶ კვანტალიანი, ნ. (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1). (გვ. 722)

განსახორციელებლად გონივრული ვადა უნდა დაუწესოს. დაუშვებელია, რომ ადამიანები უსასრულოდ იყვნენ ერთმანეთთან სტრესულ და გაურკვეველ მდგომარეობაში.¹⁷

გარდა ამისა, უზენაესი სასამართოს განმარტებით, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები ასეე მიიჩნევა საქმის სწორად გადაწყვეტის ერთ-ერთ ეფექტურ გარანტიად. კერძოდ: გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, შესაბამისად, მტკიცებულებათა უტყუარობა, მათი ვარგისიანობის, ნამდვილობის უტყუარად დადგენის შესაძლებლობა უმნიშვნელოვანესია სწორი და ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად. სამართალწარმოებაში შეცდომის თავიდან აცილება უპირველესი მიზანია. ამასთან, ხანგრძლივი დროის გასვლამ შეიძლება გამოიწვიოს მტკიცებულებების შეცვლა ან მათი მოპოვების უკიდურესად გართულება, ზოგჯერ კი – განადგურება, რაც, საბოლოო ჯამში, გაართულებს სადავოდ გამხდარი მტკიცებულებების საიმედოობის დადგენას. როდესაც ხანგრძლივი დროა გასული იმ მოვლენიდან, რომელმაც სადავო გარემოებები წარმოშვა, მაღალია ალბათობა, რომ მტკიცებულებები, რომლებიც ადრე არსებობდა, შეიძლება დაკარგული ან სახეშეცვლილი იყოს, ასევე გაფერმკრთალდება მოწმეთა მენსიერება, რომელთა ჩვენებებს სასამართლო დავის გადაწყვეტისას უნდა დაეყრდნოს, გაიზრდება სავარაუდო, არასანდო მტკიცებულებათა რიცხვი. შედეგად, მეტი ალბათობით შეიქმნება ნიადაგი საქმის ფაქტობრივი გარემოებების არაობიექტური შეფასებისათვის. ხანდაზმულობის ვადა წარმოადგენს მცდელობას, დაიცვას მხარეები ასეთი საფრთხეებისაგან. ¹⁸ ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია, ასევე, გამოირიცხოს კრედიტორის უფლებების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე.

ზემოთ ჩამოთვლილი ლეგიტიმური მიზნების არსებობას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. 1996 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე სტაბინგი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სასამართლო განმარტავს: „ ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისგან, რომლებისგან თავის დაცვაც შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ

¹⁷ ჭანტურია, ლ. (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. (გვ.121)

¹⁸ სუსგ №ას-1210-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი.

მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც შესაძლოა, დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს“

გარდა ამისა, დარღვეული უფლების დასაცავად ხანგრძლივი დროის მანძილზე ზომების მიუღებლობა, როგორც წესი, მეტყველებს იმაზე, რომ დაზარალებული ან არ არის საკმარისად დაინტერესებული თავისი უფლების განხორციელებით ან არ არის დარწმუნებული მოთხოვნის საფუძვლიანობაში.

სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასაც. ვინაიდან მოთხოვნის ხანდაზმულობა არ ნიშნავს ამ მოთხოვნის შეწყვეტას, მოთხოვნა კვლავინდებურად არსებობს და მოვალეს კვლავაც შეუძლია ეს მოთხოვნა ნებაყოფლობით შეასრულოს, მაგრამ კრედიტორი კარგავს მოვალისგან ამ მოთხოვნის იძულებით შესრულების შესაძლებლობას¹⁹. შესაბამისად, თავიანთი უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით, ხანდაზმულობის ვადის დაწესება სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების აქტიურობის სტიმულირებას ახდენს, და აგრეთვე აძლიერებს სამართლებრივი სუბიექტების ურთიერთკონტროლს.²⁰

მაშასადამე, სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს რა სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილიზაციას, ამავდროულად ემსახურება სახელმეკრულებო დისციპლინის სიმყარეს და ეხმარება სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თავიანთი უფლებებისა და ვალდებულებების აქტიურად განხორციელებაში.²¹

¹⁹ ჭანტურია, ლ. (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. (გვ. 122)

²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. (2007). (გვ. 63)

²¹ ნაჭყებია, ა. (თ. გ.). სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013). (გვ.46)

თავი IV.

ხანდაზმულობა და სასარჩელო ხანდაზმულობა

ხანდაზმულობა, ეს არის არა თვითონ ვადა ან მისი მსვლელობა, ან ამ დროს არსებული მოვლენა, არამედ ვადის დენის შედეგად დამდგარი მოვლენა. ვინაიდან არა ვადის მიმდინარეობა, არამედ სწორედ ვადის გასვლა ადასტურებს თვისობრივად ახალი მოვლენის არსებობას, რასაც განსხვავებული სამართლებრივი შედეგი უნდა მოჰყვეს.²²

მაშასადამე, ხანდაზმულობა უკავშირდება იურიდიული შედეგის მქონე მოქმედებათა განხორციელებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლას, თუმცა, განმსაზღვრელია თუ რისი (რა იურიდიული შედეგის მქონე მოქმედების) ვადა გადის.

4.1. სასარჩელო ხანდაზმულობა

სასარჩელო ხანდაზმულობა ეს არის კანონით დადგენილი დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც შელახულია, შეუძლია მოითხოვოს იძულებითი აღსრულება ან უფლების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.²³ სასარჩელო ხანდაზმულობა უფლების განხორციელების ვადას უკავშირდება. სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება, რომ კანონმდებლის მიერ დადგენილია ზღვრული ვადები, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.²⁴ შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობისას იურიდიული მოქმედება, რომლის ვადაც პირმა არ უნდა გაუშვას-სარჩელის შეტანა. სწორედ სასარჩელო ხანდაზმულობა წარმოადგენს ნაშრომის თემას და შესაბამისად, შემდგომ თავებში განხილული იქნება დეტალურად.

4.2. შექმნილი ხანდაზმულობა

ხანდაზმულობის ვადის გასვლა ასევე, დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტთან, როგორცაა შექმნილი ხანდაზმულობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 165-ე და 167-ე მუხლებით განსაზღვრავს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნის წესს ხანდაზმულობით.

²² ბიჭია შ. ხანდაზმულობა სისხლის სამართალში (დისერტაცია სისხლის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად) 2010 წ. (გვ. 12)

²³ ნაჭყებია, ა. (თ. გ.). სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013). (გვ.568)

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი. (გვ.140)

შეძენითი ხანდაზმულობის ინსტიტუტის არსი გულისხმობს, რომ კანონით დადგენილ პირობებში, ნივთზე განხორციელებული ფაქტობრივი ბატონობა განსაზღვრული დროის შემდეგ, მასზე საკუთრების უფლებას წარმოშობს. დრო ამ შემთხვევაში ფაქტს აქცევს უფლებად, უფლება წარმოიშობა იმიტომ, რომ უფლების შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობა დიდი ხნის მანძილზე იყო დაცული.²⁵ საკუთრების ხანდაზმულობით შეძენისას ისეთი ვითარებაა, როდესაც სამართლებრივი ბურუსითაა მოცული ნივთზე უფლებრივი ურთიერთობა და მხოლოდ მისი მფლობელის მხრიდან იკვეთება სინამდვილე, რაც მფლობელობითი ხანდაზმულობის წყალობით უფლების წარმოშობის წყაროდ იქცევა.²⁶ ეს ინსტიტუტი მაშინ გამოიყენება, როცა შეძენას აკლია შეძენისთვის აუცილებელი სამართლებრივი ძალის მქონე ერთ-ერთი პირობა. ამ ნაკლის ასაცილებლად საჭიროა მომეტებული სიფრთხილე, რაც არ მოეთხოვება სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერ მონაწილეს გახშირებული ბრუნვის დროს.²⁷ ხარვეზი შესაძლოა მდგომარეობდეს, გამსხვისებლის არაუფლებამოსილებაში: მასზე საკუთრების უფლების არარსებობის გამო, მისი ქმედუუნარობის გამო, ასევე გარიგების ფორმის დაუცველობაში. შესაძლოა, საერთოდ არ არსებობდეს მფლობელობის მოპოვების საფუძველი, მაგალითად, მფლობელი შეცდომით თვლის თავს კანონით ან ანდერძით მემკვიდრედ, მაშინ როდესაც არსებობს მასზე უპირატესი უფლების მქონე კანონით მემკვიდრე ან მის სასარგებლოდ დაწერილი ანდერძი შეიცვალა მისთვის უცნობი, გვიან შედგენილი ანდერძით და შესაბამისად, მას ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება.²⁸ სამოქალაქო კოდექსით მოძრავი ნივთების მიმართ საჭიროა ნივთის ხუთწლიანი კეთილსინდისიერი ფლობა, ხოლო უძრავის მიმართ – თხუთმეტწლიანი. ამავე დროს, უძრავ ნივთზე მფლობელობის ფაქტი საჯარო რეესტრში უნდა იყოს რეგისტრირებული. ამ ვითარებაში, მართალია, პირი შეტანილია რეესტრში უძრავი ნივთის მესაკუთრედ, მაგრამ შეძენას გააჩნია ნაკლი, მაგალითად, ქონების შეძენა მოხდა კანონიერი საფუძვლის გარეშე, მესაკუთრედ რეგისტრირებულმა პირმა ქონება შეიძინა გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისგან, გასხვისება მოხდა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, ან დაირღვა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის ინტერესი და სხვა. ამავე დროს, უძრავი ნივთი ხანდაზმულობით შეიძლება შეიძინოს არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა, რადგან ამ შემთხვევაში არსებითია თვით საჯარო რეესტრის ცნობა და არა იმდენად პირის სუბიექტური დამოკიდებულება შეძენის ნამდვილობის მიმართ. რეგისტრაციის

²⁵ ზარანდია თ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005 წ. (გვ.32)

²⁶ ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003 წ. (გვ.172)

²⁷ ჭიქელაშვილი ზ, სანივთო სამართაკუ, თბილისი, 2006 წ. (გვ.93)

²⁸ ქოჩაშვილი ქ, მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმფციის საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2012 წ. (გვ.92)

ფაქტი აბათილებს არაკეთილსინდისიერ ნებას.²⁹ აღსანიშნავია, რომ ქართველმა კანონმდებელმა ხანდაზმულობის ვადას მისცა უკუქცევითი ძალა, კოდექსის გარდამავალ დებულებებში განისაზღვრა ნორმა, რომლითაც აღნიშნული ვადა აითვლება 1993 წლიდან, რადგან ეს ინსტიტუტი პირველად, ქართულ რეალობაში 1993 წლის „საკუთრების უფლების შესახებ“ კანონში აისახა.³⁰

²⁹ ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003 წ. (გვ.177)

³⁰ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003, (გვ. 18)

თავი V. ხანდაზმულობის საგანი

5.1 ნორმის მოქმედების სფერო

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული თითქმის ყველა სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი მოთხოვნა ექვემდებარება ხანდაზმულობას. სსკ-ის 128-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. აღნიშნული პრაქტიკულად იმეორებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ნორმას ხანდაზმულობის საგნის შესახებ (194-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი).

ეს ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის „ლეგალურ (კანონისმიერ) დეფინიციას“, რომლის თანახმად, მოთხოვნა -ეს არის უფლება, მოითხოვო სხვა პირისაგან მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება. მოქმედება ყველა შესაძლო მოქმედებას მოიცავს, იქნება ეს, მაგალითად, თანხის გადახდა თუ ნების გამოვლენა, ნივთის გადაცემა თუ სხვ. მოქმედებისგან თავის შეკავება, შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედების არ განხორციელებას გულისხმობს, მათ შორის თმენას. მოთხოვნა მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ და მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი საფუძველი შესაძლოა იყოს ვალდებულებითი, სანივთო, საოჯახო თუ სხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა, ასევე ნამდვილი ხელშეკრულება.³¹

5.2. ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების დროში მოქმედების თავისებურებანი

ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების დროში მოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგი პრაქტიკა აქვს: უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ 1997 წლამდე დადებული ხელშეკრულებების მიმართ არ გამოიყენება 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმები ხანდაზმულობის შესახებ. ვინაიდან ახალი სამოქალაქო კოდექსი განსხვავებულ ხანდაზმულობის ვადას ადგენს უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის, სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მიხედვით, გამოიყენება 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. ამასთან გასათვალისწინებელია, ნებისმიერი მოთხოვნის მიმართ ახალი კოდექსით გათვალისწინებული

³¹ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 15)

ვადების გავრცელებისათვის გადამწყვეტია ის გარემოება, რომ ძველი კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა ამოწურული არ უნდა იყოს ახალი კოდექსის ამოქმედების მომენტისათვის.

1997 წლის 25 ნოემბრამდე დადებული სხვა ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები, ამასთან, თუ ხელშეკრულების შესრულების ვადა (შესაბამისად მოთხოვნის უფლების წარმოშობა) განსაზღვრულია 1997 წლის 25 ნოემბრით ან შემდგომი პერიოდით, გამოიყენება ახალი სამოქალაქო კოდექსის ნორმები.³²

5.3. ხანდაზმულობის ვადების იმპერატიული ბუნება

ხანდაზმულობას სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს და ურთიერთობის მონაწილეებს უკრძალავს ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლას მხარეთა შეთანხმებით. ამდენად, კოდექსის ნორმები ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით იმპერატიულ ნორმებს წარმოადგენს. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს არ შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გამორიცხონ ხანდაზმულობის ვადების მოქმედება ან შეცვალონ ისინი ან მათი გამოთვლის წესი. თუ მხარეები ხანდაზმულობის სხვა ვადებზე შეთანხმდებიან, ვიდრე კანონითაა გათვალისწინებული, მაინც გამოიყენება კანონით დადგენილი ვადები.

კანონმდებლის მიერ ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმების იმპერატიული ბუნების მინიჭებას სოციალური დატვირთვა აქვს და განსხვავებულ სამართლებრივ ინტერესებს აბალანსებს. უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობა საგამონაკლისო შემთხვევებს არ ადგენს. ამით ქართული სამართალი განსხვავდება სხვა ქვეყნების სამართლისაგან.³³

გსკ-ით არის დადგენილი გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც ემსახურება მხარეთა ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის მიღწევას. კერძოდ, ხელშეკრულებით წინასწარ არ შეიძლება შემსუბუქდეს მხარეთა პასუხისმგებლობა განზრახვის, ისევე როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო. სახელშეკრულებო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმულობის ვადის შემცირებას, დაუშვებელია მაშინ, როცა ხანდაზმულობის ვადაზე მითითება, მხარეთა შეთანხმების არსებობის მიუხედავად, შეიძლება

³² საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი.(გვ.140)

³³ მახათაძე ნ. სახელშეკრულებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადების მიმართება საერთო ვადებთან. 2019 წ. (გვ.48)

შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად. უფლების ბოროტად გამოყენება კი სახეზეა მაშინ, როცა მოვალე მიუთითებს სასარჩელო ხანდაზმულობაზე მას შემდეგ, რაც ის ხანდაზმულობის ვადის დენის შესახებ გაცნობიერებულ კრედიტორს თავისი საქციელით აქტიურად შეუშლის ხელს ხანდაზმულობის ვადის შემწყვეტი მოქმედების განხორციელებაში.³⁴

ქართული კანონმდებლობა მართალია ცდილობს ეფექტურად დაიცვას მოვალე იმ ფაქტორებისაგან, რაც შესაძლოა დადგეს ხანდაზმულობის ვადისათვის დისპოზიციური ბუნების მინიჭებით, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ასეთი აბსოლუტური აკრძალვა უფრო მეტად საკითხის გადაჭრის სიმარტივეს განსაზღვრავს და მოვალე დაცულია სახელშეკრულებო ავტონომიის პრინციპის „მსხვერპლად შეწირვის“ ხარჯზე. გამოსავალი, ვფიქრობ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლში უნდა ვეძიოთ, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით რომ ზიანი მიადგეს სხვას. სწორედ ამგვარ გამოსავალს პოულობს გერმანული სამართალიც.

გერმანიის კანონმდებლობით, რეფორმის შემდეგ მხარეებს მიეცათ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის შეცვლის შესაძლებლობა გარკვეული შეზღუდვებით.³⁵ მართალია მხარეთა მიერ შესაძლებელია ხანდაზმულობის ვადების შემცირება, მაგრამ არა იმ შემთხვევაში თუ ასეთი მითითება უფლების ბოროტად გამოყენებად იქნება მიჩნეული. გერმანული სამართლით, ხანდაზმულობასთან მიმართებით უფლების ბოროტად გამოყენება სახეზეა მაშინ, როცა კრედიტორი გაცნობიერებულია ხანდაზმულობის ვადის დენასთან დაკავშირებით და მოვალე კი მას ხელს უშლის ხანდაზმულობის ვადის შემწყვეტი მოქმედების განხორციელებაში. გარდა გერმანული სამართლისა, ასევე, შესაძლებელია ხანდაზმულობის ვადების ცვლილება ინგლისურ სამართალშიც.³⁶

თუ დადგინდებოდა გარკვეული საგამონაკლისო შემთხვევები, როცა მხარეებს შესაძლებლობა ექნებოდათ ხანდაზმულობის ვადის შესახებ თავად შეთანხმებულიყვნენ და დავის შემთხვევაში აღნიშნული საკითხი ცალკეული შემთხვევებისათვის ინდივიდუალურად გადაწყდებოდა, ვფიქრობ კვლავ დაცული იქნებოდა მოვალის ინტერესები და ამავდროულად ნაკლებად შეილახებოდა სახელშეკრულებო ავტონომიის პრინციპიც. აქ საუბარია მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებზე, როცა შესაძლებელი იქნებოდა ხანდაზმულობის ვადის დადგენა

³⁴ მახათაძე ნ, სახელშეკრულებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადების მიმართება საერთო ვადებთან. 2019 წ. (გვ.48)

³⁵ New law of obligations in Germany, Manfred LOWISCH. 2003. (გვ. 3)

³⁶ Periods of limitation and Other Time Limits in Europe, 2014. Commercial law group. (გვ. 6)

ხელშეკრულებით, და არა ხანდაზმულობის ინსტიტუტის სრულიად მოქცევა ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში.

მართალია, ხანდაზმულობა რომ მთლიანად ხელშეკრულებაზე იყოს დაქვემდებარებული, ძალიან ბევრი კრედიტორი, ალბათ ხელშეკრულებაში ჩადებდა ხანდაზმულობის ბევრად გაზრდილ ვადას, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებს. ხანგრძლივი ვადა კი საფრთხეს ქმნის, რომ მოვალის დაცვის ინტერესი პრაქტიკულად რეალობის მიღმა აღმოჩნდეს. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსით ხანდაზმულობის ვადები მცირეა მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამართალთან შედარებით. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ქართული სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობების შინაარსის და მასთან დაკავშირებული პრობლემების კონტროლს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.³⁷ სსკ-ის 356-ე მუხლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა. უფრო მეტიც, ქართული სამართალი უკვე არსებული ხელშეკრულების შესრულებასაც აქცევს კეთილსინდისიერი ქცევის ჩარჩოებში. სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ამ ყველაფრიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით, გაუგებარია ასეთი აკრძალვების და იმპერატივების დაწესება კერძო სამართალში.

მაშასადამე, კერძო სამართალში იმპერატიული ნორმების არსებობა სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის დამყარებისა და მისი შენარჩუნების ხელშეწყობით არის გამართლებული, თუმცა, მათი როლი მკაცრად უნდა განისაზღვროს და გამომდინარეობდეს მხოლოდ აუცილებლობიდან. როცა კანონმდებელი იგრძნობს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგება მის გარეშეც შესაძლებელია, მან გზა სახელშეკრულებო თავისუფლებას უნდა დაუთმოს.³⁸

³⁷ რუსიაშვილი გ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2017 წ.

³⁸ ჩაჩანიძე თ. სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2004 წ. (გვ.37)

5.4. გამონაკლისები, რომელზედაც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადის მოქმედება

კანონით განსაზღვრულია ის გამონაკლისები, რომლებზეც ხანდაზმულობის ვადის მოქმედება არ ვრცელდება. მათ მიეკუთვნება: პირადი არაქონებრივი უფლებები, მეანაბრეთა მოთხოვნები ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო (სსკ, მუხლი 128, II). ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება – მოთხოვნა – და არა აბსოლუტური უფლება.³⁹

პირად არაქონებრივ უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის გაუვრცელებლობის ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ ამ შემთხვევაში სამოქალაქო ბრუნვის ინტერესების ხელყოფა არ ხდება.⁴⁰

რაც შეეხება მეანაბრეების უფლებებს, მათზე სასარჩელო ხანდაზმულობა იმის გამო არ ვრცელდება, რომ კანონმდებელს სურს დამატებითი გარანტიებით უზრუნველყოს მეანაბრეები, რაც, თავის მხრივ, გაზრდის თავისუფალი თანხების საბანკო ანგარიშებზე განთავსების მიმზიდველობას. აქვეა გამოთქმული მოსაზრება, რომ თეორიული თვალსაზრისით, აღნიშნული ნორმა გამართლებული არაა. მისი არსი ისაა, რომ მეანაბრეს მიერ ანაბარზე განთავსებული თანხის მოთხოვნა შეუძლია ნებისმიერ დროს, მიუხედავად მისი განთავსების ხანგრძლივობისა. მაგრამ ამ შემთხვევაში მეანაბრის უფლებას არავინ ხელყოფს. საკითხი აქტუალური მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ ბანკი უარს ამბობს ანაბრის დაბრუნებაზე. ამ შემთხვევაში მეანაბრის მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის ჩვეულებრივად გავრცელება სრულიად ნორმალური იქნებოდა.⁴¹

საბოლოოდ, სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სამოქალაქოსამართლებრივი უფლების, ინტერესის ან თავისუფლების დარღვევა. თუ დარღვევა არ არსებობს, დასაცავი არაფერია.

³⁹ თუმანიშვილი, გ. (2012) შესავალი საქართველოს კერძო სამართალში. (გვ 188)

⁴⁰ ბიჭია მ, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო-მედიცინური „სპექტრი“ (გვ.62)

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი. (გვ.139)

5.5. ხანდაზმულობის ვადა და მისი მიმართება საკუთრების უფლებასთან

საბჭოთა სამართალში სავინდიკაციო სარჩელის განხორციელება დასაშვები იყო კანონით დადგენილი სასარჩელო ხანდაზმულობის პერიოდში. სოციალისტური საკუთრების ნებისმიერი სუბიექტის სარჩელზე მისთვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ სასარჩელო ხანდაზმულობა არ ვრცელდებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოდავე მხარეები სახელმწიფო ორგანოები იყვნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც სავინდიკაციო სარჩელის მიმართ მოქმედებდა სასარჩელო ხანდაზმულობა, მისი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ქონება შესაძლოა დარჩენოდა უკანონო მფლობელს გაურკვეველი სამართლებრივი სტატუსით. ხანდაზმულობა არ ვრცელდება საკუთრების უფლებაზე. საკუთრების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე მესაკუთრის უფლება მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული.⁴²

საკასაციო პალატის განმარტებით, უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ მოთხოვნების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა დაიწყება იმ შემთხვევაში, თუ შეილახება პირის საკუთრების უფლება. საკუთრების უფლება არ წყდება უძრავი ნივთის მფლობელობიდან გასვლით. მათზე უფლების მოპოვებაც და დაკარგვაც დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციასთან. შესაბამისად, მესაკუთრის სტატუსის დარღვევულად მიჩნევის საფუძველს საჯარო რეესტრის ჩანაწერი უნდა იძლეოდეს, ანუ მესაკუთრედ სხვა პირი უნდა იყოს დარეგისტრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთრების უფლება შელახულად არ ჩაითლება, ამდენად, საკუთრების როგორც აბსოლუტური უფლების მიმართ ხანდაზმულობის გავრცელება არ დაიშვება და მესაკუთრეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს სასამართლოს მის საკუთრებაში არსებული ნივთის გამოთხოვის მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება დადგინდეს, რომ სარჩელის ხანდაზმულობის ვადა გასულია.⁴³

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ნეგატორულ სარჩელზე ხანდაზმულობის გავრცელება დაუშვებელია და მესაკუთრის უფლება, მოითხოვოს ხელშეშლის აღკვეთა, არ შეიძლება იყოს ხანდაზმული, ვინაიდან მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღუდავი დანაწესისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების უფლების აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს

⁴² ქოჩაშვილი ქ, მფლობელობა - ფაქტი და უფლება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N2, 2009, (გვ 14)

⁴³ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე №ას-395-374-2013)

კონსტიტუციასა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში (საქმე № ას-1041-998-2014) კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადები არ უნდა გავრცელდეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნაზე. თუმცა, აქვე აღნიშნავს, რომ ნეგატორულ სარჩელთან მიმართებით, ხანდაზმულობის ვადები გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, მესაკუთრეს საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით სარჩელის აღძვრის უფლება აქვს იქამდე, სანამ ხელშეშლა გრძელდება, თუნდაც ხელშეშლა უსასრულოდ გრძელდებოდეს, ხოლო ხელშეშლის აღკვეთის შემდეგ ნეგატორული სარჩელის წარდგენა შეუძლებელია.⁴⁴

მესაკუთრე მუდამ რჩება მესაკუთრედ, მაგრამ ხანდაზმულობა ვრცელდება მესაკუთრის სავინდიკაციო მოთხოვნაზე -გამოითხოვოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთი. ეს ნიშნავს იმას, რომ მესაკუთრე მართალია რჩება ნივთის მესაკუთრედ, მაგრამ თუკი ხანდაზმულობის ვადას გაუშვებს, დაკარგავს მფლობელისაგან ნივთის გამოთხოვის უფლებას.

45

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას. ამასთან უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების ხანდაზმულობით შეძენისათვის კანონით დადგენილია განსხვავებული წინაპირობები და განსხვავებული ვადები.

მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელიც საინტერესო მსჯელობას აყალიბებს სავინდიკაციო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, კერძოდ ამ გადაწყვეტილების თანახმად „საკუთრების აბსოლუტური უფლებიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის II ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია არ ფლობდეს კუთვნილ ნივთს, ისევე, როგორც მესაკუთრეს შეუძლია არ ისარგებლოს კუთვნილი ნივთით⁴⁶. ამდენად მესაკუთრეს აქვს საკუთარი ნივთის ფლობისა და სარგებლობის თავისუფლება... ეს კი გულისხმობს მესაკუთრის თავისუფლებას, ნებისმიერ დროს დაეუფლოს კუთვნილ ნივთს ან ისარგებლოს ამ ნივთით, მათ შორის მოითხოვოს უკანონო მფლობელობიდან მისი გამოთხოვა. შესაბამისად, მესაკუთრის აღნიშნული თავისუფლების ხანდაზმულობის შემზღუდავი დანაწესისადმი დაქვემდებარება ეწინააღმდეგება საკუთრების ფუნქციას, მის აბსოლუტურ ბუნებას, საქართველოს

⁴⁴ საქმე № ას-1041-998-2014

⁴⁵ ჭანტურია, ლ. (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი. (გვ. 120)

⁴⁶ ზარანდია, თ. ფაქტი ვს უფლება: მფლობელობა და საკუთრების უფლება - ურთიერთმიმართება ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით.(2013) (გვ.240)

კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის აღნიშნულ ნორმებს, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებს.⁴⁷

საკუთრების უფლება თაობიდან თაობას გადაეცემა და ეს გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21 მუხლით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ეს მიუთითებს საკუთრების უფლების მუდმივ ხასიათზე, რადგან გადაცემადია არამუდმივი უფლებებიც, ისეთი უფლებები, რომელზედაც ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. თუ მაინც შევთანხმდებით, რომ საკუთრების უფლებას მუდმივი ხასიათი უნდა მივანიჭოთ, ეს მხოლოდ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უმეტესი სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, იგი არ იკარგება უფლების განუხორციელებლობის გამო. სხვა სიტყვებით, იგი არ ექვემდებარება მანულისებელ ხანდაზმულობას. თუ თანმიმდევრულები ვიქნებით, გამოვა, რომ რაც არ უნდა ხანგრძლივი იყოს უფლების განუხორციელებლობის ვადა, თუნდაც რამდენიმე საუკუნე, მესაკუთრეს შეუძლია განახორციელოს საკუთარი უფლება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რეალურად ასეთი ვინდიკაცია ალბათ იშვიათად მიაღწევს მიზანს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთი „დაგვიანებული გამოღვიძებები“ შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებს მივაკუთვნოთ, ასევე ასე „დროში დაკარგული“ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გამოუყენებელი უფლების დამტკიცება თავისთავად ძალიან ძნელი გახდება. მაგრამ ყველაზე მეტად იმიტომ, რომ მესაკუთრე, რომელიც იყენებს „დაგვიანებულ ვინდიკაციას“ რისკავს დაუპირისპირდეს ეგრეთ წოდებულ „შემენით ხანდაზმულობას“⁴⁸.

5.6. ხანდაზმულობის ვადის კავშირი პროცესთან

ხანდაზმულობა, როგორც დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, მჭიდროდაა დაკავშირებული პროცესთან, ვინაიდან უფლების დაცვა სასამართლოში სასარჩელო წესით ხორციელდება. სარჩელი წარმოადგენს უფლების დაცვის საპროცესო საშუალებას, ხოლო ხანდაზმულობა დაცვის ამ საშუალების გამოყენების ვადაა. მოთხოვნის ხანდაზმულობა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს და იგი სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობად არ მიიჩნევა. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ კრედიტორს (მოსარჩელეს) შეუძლია, ხანდაზმულობის საწინააღმდეგო ფაქტებზე (ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და შეწყვეტის გარემოებებზე) მიუთითოს და მოთხოვნის იძულებით აღსრულებაზე იდაოს. სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ საქმის არსებითი

⁴⁷ სუსგ ას-526-847-05, 16.09.2005

⁴⁸ ავტორთა ჯგუფი, (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძველები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. (გვ.66)

განხილვით, ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევითა და ურთიერთშეჯერების შედეგად დაადგინოს, ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა.⁴⁹ ამავდროულად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი – დაეთანხმოს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებას (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 3.2 მუხლი). ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ საქმის არსებითი განხილვით, ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევითა და ურთიერთშეჯერების შედეგად დაადგინოს, ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა. ამასთან, თუ ვალდებული პირი შესაგებლით ხანდაზმულობაზე პრეტენზიას არ აცხადებს, მიუხედავად იმისა, მოთხოვნა საფუძვლიანია თუ არა, სასამართლოს გადაწყვეტილება ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საკმარისია, დაეყრდნოს მხოლოდ ხანდაზმულობის ფაქტის დადგენას, ვინაიდან ხანდაზმულობა მოთხოვნას მატერიალურ-სამართლებრივად სპობს. რაც შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობის გამოთვლის წესს, აღნიშნულს, სასამართლო პრაქტიკით, სწორედ სასამართლო ადგენს, მაგალითად, თუ საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი იყო, სასამართლომ გადაწყვეტილება აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მიიღოს, თუნდაც მხარე ამ საკითხს არ აყენებდეს.

მოთხოვნის ხანდაზმულობა ფაქტია და არა სამართლებრივი კვალიფიკაცია, შესაბამისად, მასზე მითითებით სარჩელის უარყოფა მხოლოდ მოვალის (მოპასუხის) უფლებაა, რაც სამოქალაქო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, გამორიცხავს ამ საკითხის სასამართლოს ინიციატივით გამოკვლევას.⁵⁰

სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით გამოიკვლიოს ხანდაზმულობის საკითხი, ამის შესახებ დაინტერესებულმა პირმა უნდა მიუთითოს. აღნიშნული მომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან, თუ ერთ მხარეს ენიჭება დარღვეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა, მეორე მხარე უფლებამოსილია, გამოიყენოს ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი მოწინააღმდეგე მხარის

⁴⁹ ძლიერიშვილი, ზ. (1997). ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე. (გვ.9)

⁵⁰ კვანტალიანი, ნ. (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1). (გვ. 723)

პოზიციის გასაქარწყლებლად, ხოლო სასამართლოს მხრიდან ხანდაზმულობის ვადაზე მითითებით, ილახება მხარის უფლება, ვინაიდან აღნიშნული ეწინააღმდეგება როგორც უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას, ასევე შეჯიბრებითობის პრინციპს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს აბსოლუტურად პასიური პოზიცია უჭირავს ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებით, სასარჩელო ხანდაზმულობის გამოთვლის წესს სწორედ სასამართლო ადგენს. მაგალითად, თუ საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი იყო, სასამართლომ გადაწყვეტილება აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მიიღოს, თუნდაც მხარე ამ საკითხს არ აყენებდეს.

აგრეთვე, პროცესუალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა თუ ვინ ითვლება დაინტერესებულ მხარედ, რომელსაც სასამართლოსთვის სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ განცხადება შეუძლია. დავის მხარე, რომელსაც ხანდაზმულობის საკითხის წამოჭრის უფლება აქვს, არის პირი, რომლისკენაც მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა უშუალოდაა მიმართული, ან პირი, რომლის ინტერესებზეც ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილება ნეგატიურ გავლენას მოახდენს. ამიტომ, თუ, ხანდაზმულობის საკითხს მოსარჩელე აყენებს (მაგალითად ითხოვს ხანდაზმულობის ვადის აღდგენას, ან სარჩელში უთითებს, რომ ვადის დენა შეჩერებული იყო). სასამართლო არ არის უფლებამოსილი მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნიოს. თუ საქმეში მოპასუხის სტატუსით რამდენიმე პირია ჩართული, ხოლო მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი აცხადებს, სასამართლოს დადგენილება ხანდაზმულობის შესახებ არ ვრცელდება დანარჩენ მოპასუხეებზე. აღნიშნული არ ეხება სავალდებულო თანამონაწილეობას (მაგ. სოლიდარულ მოვალეებს).

სასარჩელო ხანდაზმულობის შედეგი პროცესუალური ხასიათის უფროა, ვიდრე მატერიალური, რადგან ხანდაზმულობა არის სარჩელისაგან თავის დაცვის ერთ-ერთი ფორმა და თავისთავად მოთხოვნის გაქარწყლებას არ იწვევს. აღნიშნულიდან გამომდინარე ხანდაზმულობა განიხილება, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება. მხარე კი, საპროცესო კანონმდებლობით შეზღუდულია მიუთითოს ახალი ფაქტებისა და მტკიცებულებების შესახებ ზემდგომ ინსტანციებში. ამდენად, მიჩნეულია, რომ ხანდაზმულობის საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მოთხოვნის ხანდაზმულობის შესახებ მითითება პირველად სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციაში ისევე დაუშვებელია, როგორც ახალ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითება.

რაიმე ფორმა სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ განცხადებისათვის დადგენილი არ არის, ამდენად, იგულისხმება, რომ ამგვარი განცხადების გაკეთება შესაძლებელია როგორც წერილობით, ისე ზეპირად. მთავარია, მოპასუხის მოქმედებიდან ნათლად იკვეთებოდეს მისი სურვილი თავისი ინტერესები მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითების გზით დაიცვას.⁵¹

ამრიგად, სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას იკვლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე პირადად ან კანონით შესაგებლის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით მოთხოვნის ხანდაზმულობის საფუძვლით სასარჩელო მოთხოვნას სათანადო წესით წარდგენილი პასუხით (შესაგებელი) უარყოფს.

საბოლოოდ კი ხანდაზმულობა იწვევს არა მოთხოვნის უფლების გაუქმებას, არამედ ანიჭებს მოვალეს მყარ უფლებას, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.

⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი.

თავი VI.

სასარჩელო ხანდაზმულობის სახეები

სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს ხანდაზმულობის საერთო და სპეციალურ ვადებს, თუკი კანონით სპეციალური ვადა არ არის დადგენილი, მაშინ ყველა მოთხოვნისთვის გამოიყენება საერთო ვადები.

6.1. სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადა

საერთო ხანდაზმულობის ვადა მოთხოვნის წარდგენისათვის შეადგენს ათ წელს. მოთხოვნის საერთო ვადის დადგენა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი გარემოებების შესახებ ცოდნის (ან უხეში გაუფრთხილებლობით – არცოდნის) სუბიექტური კრიტერიუმი არ იწვევდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ფაქტობრივ ხანდაზმულობაუუნარობას.

მოთხოვნის დროში შეზღუდვა სამოქალაქო ბრუნვასა და კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა სტაბილურობას ემსახურება. კანონის ეს დანაწესი გამოიყენება იმ მოთხოვნებისთვის, რომელთა დაცვის სპეციალური ვადა კანონით დადგენილი არ არის. ხოლო სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადები მხოლოდ ნორმატიულად განისაზღვრება.

სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს მაქსიმალურ ვადას, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის განხორციელება 530-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. მიუხედავად ასეთი ფორმულირებისა, ცხადია, რომ კანონმდებლის ნება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, თითქოს მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში წარმოშობილი ჩუქების საგნის გამოთხოვის მოთხოვნა დროში არ არის შეზღუდული.⁵² ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა 530-ე მუხლში მითითებული წინაპირობების გარდა, დამატებით შეზღუდვას უნდა დაექვემდებაროს და განხორციელებადი იყოს მხოლოდ განსაზღვრული ვადის განმავლობაში. ამ შემთხვევაში საერთო ვადის გამოყენების მიზანშეწონილობა ცხადია და ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვა ათწლიანი ხანდაზმულობის ვადაში უნდა განხორციელდეს.⁵³ იშვიათ შემთხვევაში, მოთხოვნებისთვის ხანდაზმულობის საერთო ვადის გამოყენების თაობაზე, კანონი პირდაპირ უთითებს (1489-1490).

⁵² ჩაჩავა ს, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში,, 2010 წ, გვ. 162

⁵³ კვანტალიანი, ნ. (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1). (გვ. 727)

ხანდაზმულობა, როგორც მოთხოვნის იძულებით დაცვის ვადა, განსხვავდება კონტრაპტების ურთიერთშედავების ვადებისგან. ზოგ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს არა უფლების იძულებით დაცვის მოთხოვნის ვადებს, არამედ ადგენს დაინტერესებული პირის მიერ მხოლოდ მეორე მხარის წინაშე უფლების დარღვევის თაობაზე შედავების ვადას. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა, თუ კანონი ამგვარი მოთხოვნისათვის განსხვავებულ წესს არ ადგენს (მაგ., 663). ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბათილ გარიგებებზე შეცილების ნორმები. ვინაიდან 59-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ, უფლებადარღვეულმა პირმა კანონით განსაზღვრულ ვადებში (79, 84, 89) შეცილება უნდა განახორციელოს მეორე მხარის მიმართ. რაც შეეხება უფლების იძულებით დაცვის ხანდაზმულობას, მოთხოვნა საერთო, ათი წლის ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი.⁵⁴

6.2. სახელშეკრულებო სასარჩელო ხანდაზმულობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 129-ე მუხლით აწესრიგებს სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადას. მითითებული ნორმა განსაზღვრავს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადებს და მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ გამოიყენება. ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მოთხოვნებისათვის ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი. მაგალითად თუ სესხის ხელშეკრულების შესრულების ვადა განსაზღვრული იყო ერთი წლით, ამ ერთი წლის გასვლის შემდეგ დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა და გაგრძელდება სამი წელი.

უფრო ხანგრძლივი ვადა, ექვსი წელია დადგენილი უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისთვის. გასათვალისწინებელია, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ექვსწლიანი ვადა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ობიექტი უძრავი ნივთია, არ გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი იმ მოთხოვნების მიმართ, რომელთა საფუძველს, ამა თუ იმ კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს. მაგალითად, უძრავი ნივთის იჯარის ან ქირავნობიდან გამომდინარე ქირის, იჯარის ან სხვა სახელშეკრულებო პირობების შესრულების მოთხოვნებზე ზოგადი ან ამ ურთიერთობისთვის გათვალისწინებული სპეციალური ხანდაზმულობის ვადები გამოიყენება.

5.3. სასარჩელო ხანდაზმულობა დელიქტით წარმოშობილ მოთხოვნებზე

⁵⁴ ზოიძე ბ, სკ-ის კომენტარი, წიგნი I

სსკ-ის 129-ე და 130-ე მუხლებისაგან განსხვავებულ წესს ადგენს, სსკ-ის 1008-ე მუხლი, რომლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მაშასადამე, აქ საქმე ეხება არა ვალდებულების შესრულებას, რომლის შესასრულებლადაც კონკრეტული დრო იყო გათვალისწინებული, არამედ დამდგარ ზიანს. აქედან გამომდინარე განსხვავდება სახელშეკრულებო სასარჩელო ხანდაზმულობისა და დელიქტით წარმოშობილი სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტი და ათვლის წესი. 130-ე მუხლის ზოგადი წესის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება უფლების დარღვევის შეტყობის მომენტიდან. ზოგადი წესი არ უთითებს ზიანის მიმყენებელი პირის იდენტიფიკაციის აუცილებლობაზე, რაც ლოგიკურია, ვინაიდან სამართლებრივ ურთიერთობებში, განსაკუთრებით, როდესაც მხარეთა შორის უკვე არსებობს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა, უფლების დარღვევა მომდინარეობს იმ პირისგან, რომლის თაობაზე უფლებადარღვეული პირისათვის იმთავითვე ცნობილია და, შესაბამისად, არ არსებობს ვადის ათვლის მომენტის გადავადების საჭიროება. ვადის ათვლის დამატებითი პირობის არსებობა უკავშირდება დელიქტური სამართლის თავისებურებას. დელიქტურ სამართალში პოტენციური ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობს პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, რომელიც შემდგომში რეალიზდება ზიანის მიყენების მომენტიდან (992, ველი 1). ანუ ზიანის ფაქტის დადგომამდე შესაძლოა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდეს და შესაბამისად დაზარალებულმა, შესაძლოა, საერთოდ არ იცოდეს ზიანის მიმყენებელი პირის არსებობის შესახებ. განუსაზღვრელი პირთა წრის კონკრეტულ ზიანის მიმყენებელზე დაკონკრეტება ხდება ზიანის მიყენების მომენტში. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, ზიანის დადგენა თავისთავად არ გულისხმობს ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობის დადგენას.⁵⁵ მაგალითად, შენიღბული პირის მიერ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულისთვის თავდასხმის მომენტიდანვე არის ცნობილი ზიანის არსებობის შესახებ, მაგრამ იგი ფაქტობრივად მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს წარმოშობილი დელიქტური მოთხოვნის უფლება, ვინაიდან მოთხოვნის ადრესატი არ არის ცნობილი. უფრო ვრცლად ხანდაზმულობის ვადის დაწყების შესახებ ვისაუბრებ შემდგომ თავში.

ინგლისში ერთმანეთისაგან იმიჯნება გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი და უფლების განზრახ ხელყოფა. მათ გამიჯვნას ინგლისურ სამართალში განსაკუთრებული

⁵⁵ ბათლიძე, გ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 3)

პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. პირველ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, მაშინ, როდესაც განზრახ ხელყოფილი უფლების აღდგენის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 6 წელია.⁵⁶ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხანდაზმულობის ინსტიტუტი ქართულ სამართლებრივ სისტემაში განეკუთვნება მატერიალურ-სამართლებრივ ინსტიტუტს და ემთხვევა კონტინენტური ევროპის სამართლებრივი სისტემის მქონე მრავალი ქვეყნის მიდგომას.⁵⁷ მიუხედავად ამ ძირეული განსხვავებისა, ჩვენთვის საინტერესოა ანგლო-ამერიკული სისტემის მოდელიც, ვინაიდან საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნის ხანდაზმულობა განისაზღვრება იმ ქვეყნის სამართლით, რომელიც ამ მოთხოვნის მიმართ გამოიყენება.

⁵⁶ ბათლიძე, გ. ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, გამოცემა, 2015 წ. (გვ.21)

⁵⁷ ბათლიძე, გ. ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, გამოცემა, 2015 წ. (გვ.61)

თავი VII.

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა და მისი გამოთვლის წესი

7.1. სასარჩელო ხანდაზმულობის დაწყების საერთო წესი

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილია ვადების გამოთვლის წესი, რომელიც საერთოა მთლიანად კერძო სამართლისათვის და მოქმედებს, როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე, ასევე, შრომის, საავტორო, საკორპორაციო და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში.⁵⁸

როდესაც რაიმე ვადაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია, უმნიშვნელოვანესია, თუ საიდან უნდა დაიწყოს ამ ვადის დენა. შესაბამისად, აუცილებელია განისაზღვროს ასეთი ათვლის წერტილი სასარჩელო ხანდაზმულობის შემთხვევაშიც.

ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი ეფარდება იმ დღეს, როდესაც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება. ამიტომ, საჭიროა, ზუსტად დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობის დრო. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა იმ დღიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

ზოგ შემთხვევაში უშუალოდ კანონითაა განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 699-ე მუხლით დადგენილია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ტვირთის მთლიანად დაკარგვისას - გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის ოცდამეათე დღიდან ან თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული - გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მესამოცე დღეს.

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი მოქმედებს ხელშეკრულების მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრისას. მხარეებს შეუძლიათ თავად დაადგინონ ვალდებულების შესრულების ვადები, რომელიც შეუძლიათ განსაზღვრონ კონკრეტული თარიღით, ან დაუკავშირონ რაიმე კონკრეტულ მოვლენას.⁵⁹

სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი

⁵⁸ ჭანტურია, ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, (2011 წ.) (გვ.47)

⁵⁹ საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის #ას-1070-1337-09 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 10/2011 გვ 105-108.

დაუყოვნებლივ შეასრულოს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა კრედიტორისა და მოვალის მოქმედებებზეა დამოკიდებული. თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადითაა დადებული (ან განსაზღვრულია მოთხოვნის მომენტი), უფლების დარღვევის შესახებ პირი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა მოითხოვს შესრულებას, ხოლო მეორე მხარე არ შეასრულებს იმ მოქმედებას, რომლის შესრულებაც ევალებოდა. როგორც კი კრედიტორის ნება - მოთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება, იქნება განცხადებული და მიუვა მოვალეს, ხოლო მოვალე დაუყოვნებლივ არ შეასრულებს ვალდებულებას, უკვე სახეზე იქნება კრედიტორის უფლების დარღვევა და, შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენაც დაიწყება.⁶⁰

შესაძლოა, მხარეები შეთანხმებულნი არ იყვნენ შესრულების ვადაზე. მაგალითად, სახეზე იყოს 626-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევა და მოვალეს მიცემული ჰქონდეს შეღავათიანი ვადა მოთხოვნის შესასრულებლად. ასეთ დროს ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება შესრულების ვადის უშედეგოდ გასვლის მომენტიდან.⁶¹

7.2. ხანდაზმულობის ათვლის ობიექტური და სუბიექტური სისტემები

ხანდაზმულობის ათვლის განსაზღვრისათვის გამოიყენებენ ობიექტურ და სუბიექტური სისტემებს.⁶²

ობიექტური სისტემა გულისხმობს, რომ ხანდაზმულობა არ არის დამოკიდებული იმაზე, შეიტყო თუ არა უფლებამოსილმა პირმა დარღვევის შესახებ. გადამწყვეტია თავად ფაქტი, ობიექტურად როდის წარმოიშვა მოთხოვნა. სუბიექტური სისტემა კი, ამის საპირისპიროდ, ვადის ათვლის საწყისს პირდაპირ უკავშირებს იმ ფაქტორს, თუ როდის შეიტყო უფლებამოსილმა პირმა დარღვევის შესახებ.⁶³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ქართული სამართალი უპირატესობას სუბიექტურ სისტემას ანიჭებს⁶⁴, მაგრამ ამასთან, ობიექტური დამკვირვებლის კრიტერიუმიც შემოაქვს სიტყვებით „უნდა შეეცყო“. თუ

⁶⁰ საქ. უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 ოქტომბრის #ას-438-726-05 განჩინება.

⁶¹ საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის #ას-858-807-2010 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 12/2012 გვ. 40-49

⁶² ჭანტურია, ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, (2011 წ) (გვ.124)

⁶³ ახვლედიანი. (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 128.(გვ.321)

⁶⁴ ჭანტურია, ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, (2011 წ) (გვ.123)

ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს.

როგორც წესი, უფლების დარღვევისა და მისი გაცნობის მომენტი ერთმანეთს ემთხვევა ხოლმე, თუმცა, სამართლებრივი ვითარება შედარებით რთულდება როცა ეს ორი მომენტი დროში აცდენილია. თუ პირმა გვიან გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, ბუნებრივია უფლების დაცვას ვერ მოითხოვს დარღვევის ფაქტის გაგებამდე. მაგალითისთვის, თუ პირს დაეჯახა ავტომობილი და გარეგნული კვალი არ გამოხატულა, შესაძლოა მოგვიანებით გამოაშკარავდეს რომელიმე ორგანოს დაზიანების ან დაავადების ფაქტი. თუმცა, ასევე, არის შემთხვევები, როცა პირმა თავისივე დაუდევრობის გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ. საკითხავია ამ შემთხვევაში როგორ გადაწყდება ხანდაზმულობის ვადის ათვლა.

არსებობს მოსაზრება, რომ უპირატესობა ყოველთვის სუბიექტურ მომენტს უნდა მიენიჭოს და გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიღებულ იქნეს უფლების დარღვევის გაცნობის მომენტი. სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის გამართლებულად და მიზანშეწონილად მიმაჩნია კოდექსის ზემოთხსენებული „ორმაგი“ ჩანაწერი. სსკ-ის 130-ე მუხლის სიტყვები „უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ“ მიუთითებს კრედიტორის პასუხისმგებლობაზე სულ მცირე მაშინ, როცა კრედიტორი თავისივე უხეში გაუფრთხილებლობის გამო დაავიანებს დარღვევის გაცნობას. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორს ჰქონდა რეალური საშუალება შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

ანალოგიურ მოწესრიგებას ვხდებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსში, რომელიც ამგვარ ვადის დენას „სტანდარტულ ვადის დენად“ მოიხსენიებს და ამბობს, რომ ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის დენა იწყება იმ წლის დამთავრებისას, რომელშიც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება და კრედიტორმა შეიტყო მოთხოვნის უფლების საფუძვლად არსებული გარემოებებისა და მოვალის პიროვნების შესახებ, ან მას ამის შესახებ უნდა შეეტყო, რომ უხეში გაუფრთხილებლობა არ გამოეჩინა. მაშასადამე, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სიტყვა „უხეში გაუფრთხილებლობასაც“ უსვამს ხაზს⁶⁵, მაში როდესაც ქართულ სამართლის კოდექსში მითითებულია- „უნდა შეეტყო“ და გაუფრთხილებლობის ხასიათი გამოკვეთილად არ იკითხება.

ქართული სამართალი სუბიექტურ კრიტერიუმისათვის პრიორიტეტის მინიჭებით კრედიტორს იცავს იმ სავალალო მდგომარეობისაგან, რაც მოჰყვებოდა ობიექტურ კრიტერიუმზე დაყრდნობას. ამ შემთხვევაში შესაძლოა ხანდაზმულობის ვადის დიდი ნაწილი

⁶⁵ New law of obligations in Germany, Manfred LOWISCH. 2003. (გვ. 3)

გასულიყო იმგვარად, რომ არც მომხდარიყო დარღვევის ფაქტის შეტყობა მის მიერ. თუმცა, ამავე დროს, კანონმდებლის მიერ დარღვევის გაცნობის რეალურ შესაძლებლობაზე მითითებით, მას პასუხისმგებლობა ეკისრება დროულად აღმოაჩინოს დარღვევის ფაქტი.

აქედან გამომდინარე, თუ პროცესზე მოსარჩელე არ დაეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მასვე დაეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა.⁶⁶

იგივე წესი გამოიყენება მაშინაც თუ კრედიტორი იურიდიული პირია და ხანდაზმულობის ვადა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც იურიდიულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ამ უფლების დარღვევის თაობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ სარჩელის წარმდგენი იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი უფლების დარღვევის ფაქტის შემდგომ (მოგვიანებით) დაინიშნა ამ თანამდებობაზე, ეს გავლენას ვერ მოახდენს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების ათვლაზე.

თუ მხარეები თავად დაადგენენ ვალდებულების შესრულების ვადებს, განსაზღვრავენ კონკრეტული თარიღით, ან დაუკავშირებენ რაიმე კონკრეტულ მოვლენას მოთხოვნის წარმოშობის დრო ობიექტური კრიტერიუმით, ფაქტის დადგომის დროის მონაკვეთით დაიწყება.

7.3. ვადის ათვლა დელიქტის დროს და მისი შედარება ზოგად წესთან

ხანდაზმულობის ვადის ათვლის განსხვავებულ წესს ადგენს სსკ-ის 1008-ე მუხლი. ამ ნორმის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ⁶⁷. მაშასადამე, ხანდაზმულად არ ჩაითვლება მოთხოვნის დაყენება, თუ ზიანის ფაქტი მოგვიანებით გამოვლინდა.⁶⁸

ნორმის სიტყვასიტყვითი შინაარსი მიუთითებს, რომ ზიანის ფაქტის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეტყობა ხანდაზმულობის ვადის ათვლის ალტერნატიული წინაპირობებია. სსკ-ის 130-ე მუხლი რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ არაფერს ამბობს- ეს ლოგიკურია, რადგან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში

⁶⁶ სააკელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე №28/5464-13

⁶⁷ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 157)

⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის N ას-584-552-2011 განჩინება.

პირები თავიდანვე განსაზღვრულია და უფლების დარღვევა მომდინარეობს იმ პირისგან, რომლის თაობაზეც უფლებადარღვეული პირისათვის იმთავითვე ცნობილია.⁶⁹

ვადის ათვლის დამატებითი პირობის არსებობა უკავშირდება დელიქტური სამართლის თავისებურებას. დელიქტურ სამართალში პოტენციური ვალდებულებითი ურთიერთობა არსებობს პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, რომელიც შემდგომში რეალიზდება ზიანის მიყენების მომენტიდან . ე.ი. ზიანის ფაქტის დადგომამდე შესაძლოა ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობდეს და შესაბამისად დაზარალებულმა, შესაძლოა, საერთოდ არ იცოდეს ზიანის მიმყენებელი პირის არსებობის შესახებ. განუსაზღვრელი პირთა წრის კონკრეტულ ზიანის მიმყენებელზე დაკონკრეტება ხდება ზიანის მიყენების მომენტში. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, ზიანის დადგენა თავისთავად არ გულისხმობს ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობის დადგენას. მაგალითად, შენიღბული პირის მიერ ყაჩაღური თავდასხმის შედეგად დაზარალებულისთვის თავდასხმის მომენტიდანვე არის ცნობილი ზიანის არსებობის შესახებ, მაგრამ იგი ფაქტობრივად მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს წარმოშობილი დელიქტური მოთხოვნის უფლება, ვინაიდან მოთხოვნის ადრესატი არ არის ცნობილი. ასეთ შემთხვევებში, უსამართლო იქნებოდა, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაწყებული ყოფილიყო იმ მომენტში, როდესაც უფლება დარღვეულია, მაგრამ დაზარალებულს არ შეუძლია დარღვეული უფლების სამართლებრივი დაცვა.⁷⁰

ყურადღებამისაქცევია, რომ სსკ-ის 1008-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების თანახმად, მოცემულია ორი ალტერნატიული პირობა, 1) დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ 2) ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მიუხედავად ასეთი ფორმულირებისა, ეს ორი დანაწესი ერთიან პირობად უნდა იქნეს მიჩნეული, და კუმულატიურად უნდა განვიხილოთ, ვინაიდან სხვაგვარად ნორმის მიზანი ბუნდოვანი და აზრს მოკლებულია. შეუძლებელია, არსებობდეს შემთხვევა, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის მიმყენებელი პირის შესახებ მაშინ, როდესაც არაფერი იცოდა ზიანის არსებობაზე.

რაც შეეხება ზიანის შეტყობის ფაქტს, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლისაგან განსხვავებით (პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ), ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა შეიტყო დარღვეული უფლების შესახებ, კერძოდ, ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის N ას-547-515-2012 განჩინება.

⁷⁰ ბათლიძე, გ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 3)

ამდენად, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის უმთავრესი კრიტერიუმია დაზარალებულის მიერ ზიანის ფაქტის არსებობის შეტყობა და მნიშვნელობა აღარ ენიჭება თუ როდის შეეძლო მას შეეტყო ამის შესახებ. აღნიშნული რეგულირება კრედიტორს შესაძლებლობას უტოვებს, არაკეთილსინდისიერად, ბოროტად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, ვინაიდან, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა დელიქტის შემთხვევაში დაიწყება იმ მომენტიდან, როდესაც მან, ფაქტობრივად, შეიტყო ზიანის ან ზიანის მიმყენებელი პირის შესახებ.⁷¹

7.4. სასამართლოს გამამტყუნებელი როგორც ხანდაზმულობის ვადის დაწყების მომენტი

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა, როგორც უკვე აღინიშნა, არის სამი წელი იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. თუმცა, პრაქტიკა ადასტურებს, რომ დელიქტური მოთხოვნის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის საწყისი შეიძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარვევის საქმეზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მაგალითისთვის, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმა სპეციალურად განსაზღვრავს დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებისათვის სასამართლოსთვის მიმართვის სამწლიან ვადას.⁷²

პალატამ გაიზიარა, რომ მოცემულ დავაში სახეზეა დანაშაულის გზით მიყენებული ზიანი, რომლის ხანდაზმულობის ვადის ათვლაც უნდა მოხდეს ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ზუსტი იდენტიფიკაციის მომენტიდან, ანუ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დადგომის შემდეგ, ვინაიდან სწორედ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არის შესაძლებელი დადგინდეს ზიანის და

⁷¹ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 159)

⁷² განჩინება საქმე N2/ბ6250-16, 2018 წ.თბილისის სააპელაციო სასამართლო

ზიანის მომყენებელი პირის შესახებ. პალატამ მიუთითა, რომ დასახელებული დანაწესი გამორიცხავს ხანდაზმულობის ზოგადი წესით გამოსათვლელად გათვალისწინებულ ისეთ პირობებს, როგორცაა მოთხოვნის წარმოშობის დროის დადგენისას, მოთხოვნის მქონე პირის მიერ უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებულად ცნობა ინფორმაციის მიღების ან იმ დროის გათვალისწინებით, როცა პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ (სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლი). ნაცვლად ამისა, კანონი ხანდაზმულობის ვადის დაწყებას პირდაპირ უკავშირებს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღების დროს, რაც დანაშაულის არსებობის შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით“.⁷³

ერთი მხრივ, გასაზიარებელია პალატის აღნიშნული განმარტება, რადგან რიგ შემთხვევებში საქმე კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებასთან - უდანაშაულობის პრეზუმფციასთან შეიძლება გადაიკვეთოს. ზოგ შემთხვევაში არასწორი იქნებოდა, თუკი პირის ბრალეულობა არ იქნებოდა დამტკიცებული სათანადოდ და 1008-ე მუხლის წინაპირობას - „დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ“ - არსებულად მივიჩნევდით. თუმცა, ამგვარი მსჯელობის გავრცელება მთელ რიგ საქმეებზე, სადაც სისხლისსამართლებრივი გარემოებებია გამოკვეთილი, არაგონივრულია.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, შევებო 2010 წლის 15 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებულ ცვლილებას. V კარს დაემატა ახალი XXXIV³ თავი – ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი. განხორციელებული ცვლილების პროცესუალურ სამართლებრივი ანალიზის მიზნებისათვის, ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წესი და დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე წარდგენილი სარჩელის ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV³ თავით გათვალისწინებული წესები გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, ანუ როდესაც დანაშაულის ჩადენის შედეგად პირისათვის ზიანის მიყენების ფაქტი დასტურდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ასეთ შემთხვევაში, სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლე აღარ იკვლევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ფაქტსა და მიზეზობრივ კავშირს მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.⁷⁴

⁷³ განჩინება საქმე N2/ზ6250-16, 2018 წ.თბილისის სააპელაციო სასამართლო

⁷⁴ ასათიანი თ. სუსტი მხარის ინტერესების არასაკმარისი დაცვის ზოგიერთი ასპექტი. ავტორთა ჯგუფი. (2020). შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი. (გვ.47)

აღნიშნული დასკვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 309²⁰ მუხლი. ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ხანდაზმულობის კუთხით. პალატა განმარტავს, რომ რაც შეეხება 2010 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ (ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედება, რომელიც აღარ ითვალისწინებს სამოქალაქო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას სისხლის სამართლის საქმეზე), სახელმწიფოსათვის ან სამართლებრივი ურთიერთობის სხვა სუბიექტისათვის დანაშაულით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ადმინისტრაციული სამართალდარღვევა) მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნების მიმართ, სსკ-ის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დაწყება, დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, თუ რა წესით ითხოვს დაზარალებული მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.⁷⁵

პალატა განმარტავს, რომ თუ დაზარალებული ითხოვს მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას გამარტივებული წესით, მაშინ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა ზიანის მიმყენებლის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე გამოცემული იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც დასტურდება ზიანის მიყენების ფაქტი. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული მოითხოვს დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას საერთო სასარჩელო (და არა გამარტივებული სამართალწარმოების წესით) წესით, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დღიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.⁷⁶

ზემოთმოყვანილი (სუსგ ას-1322-2018, 04.04,2019) გადაწყვეტილება ერთი მოსაზრებით გაკრიტიკებულია იმ მხრივ, რომ მატერიალური კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის საწყის ეტაპს, რომელიც არ უნდა იყოს იმაზე დამოკიდებული თუ რა საპროცესოსამართლებრივ მექანიზმს გამოიყენებს მოსარჩელე. ხანდაზმულობის ვადა და მისი საწყისი მომენტი ობიექტური კატეგორიაა და არ არის დამოკიდებული ამ მოთხოვნის რეალიზების საპროცესოსამართლებრივ მექანიზმზე. სსკ-ის 1008-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ვადის დენის საწყის მომენტს, რომელიც დაკავშირებულია იმ მომენტთან,

⁷⁵ ას-1322-2018, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. (04.04.2019) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2019, N7

⁷⁶ ას-1322-2018, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. (04.04.2019) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2019, N7

როდესაც დაზარალებულმა სუბიექტმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამ კუთხით არანაირი საგამონაკლისო საკანონმდებლო დათქმა არ არსებობს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სასარჩელო წარმოების სხვადასხვა სახესთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის დენის საწყისი მომენტი განსხვავებულად დადგენილიყო.⁷⁷

ეს მოსაზრება, ვფიქრობ გასაზიარებელია იმდენად, რამდენადაც კოდექსი ნამდვილად არ იცნობს ასეთ საგამონაკლისო დათქმას. ამასთან, შემთხვევათა მრავალფეროვნებისა და სპეციფიკურობის კუთხით ასეთი დაყოფა შესაძლოა ზოგ შემთხვევაში ხისტი აღმოჩნდეს და შესაბამისად 1008-ე მუხლთან შეუსაბამოც. მაგრამ, მიმაჩნია, რომ საკითხს თუ მეტად ჩავუღრმავდებით, წარმოების სახეები სწორედ იმ ღირებულებების გამო განსხვავდება, რომლებიც საფუძველად ედება ხანდაზმულობის ვადების განსხვავებულ ათვლას.

როდესაც სამოქალაქო საქმე უშუალოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ეხება, განაჩენით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა ენიჭება, რაც იმას ნიშნავს, რომ განაჩენის საფუძველად არსებული ფაქტები დადასტურებულად მიიჩნევა და სხვა სამართალწარმოებაში გაქარწყლებას აღარ ექვემდებარება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმე უშუალოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არ ეხება, არამედ დანაშაული, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებების კონტექსტშია შესაფასებელი, საქმეში არსებული განაჩენით დადასტურებული ფაქტები სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში განიხილება.⁷⁸

აღნიშნული Nას-1322-2018 გადაწყვეტილება, აგრეთვე, ავითარებს მსჯელობას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს თუ რა დროიდან იყო საკმარისად განსაზღვრადი ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა და მნიშვნელობა არ აქვს, თუ მოგვიანებით ზიანის მიმყენებლის წინააღმდეგ გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.⁷⁹

განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო და დასრულდა 2009 წლის 21 სექტემბერში. ასევე, დადგენილია, რომ 2009 წლის აგვისტოში, გამომძიებლის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს სახელმწიფო ცნობილ

⁷⁷ ავტორთა ჯგუფი. (2020). შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი. (გვ.47)

⁷⁸ ავტორთა ჯგუფი. (2020). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები. (გვ.569)

⁷⁹ ას-1322-2018, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. (04.04.2019) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2019, N7

იქნა დაზარალებულად. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ 2009 წლის აგვისტოს თვეში უკვე ცნობილი იყო. საქმეში წარმოდგენილია ასევე, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 26 ოქტომბრის წერილი, რომლითაც სადავო მიწის ნაკვეთების ნორმატიული ღირებულებაა განსაზღვრული, ხოლო წერილის ადრესატი კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსს გამომძიებელია, რომელსაც ინფორმაცია მიეწოდა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. 2009 წლის 29 ოქტომბრის სასამართლოს ბრძანებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი გამომძიებელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ყადაღა დაედო უძრავ ქონებებს. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ზიანის ოდენობის შესახებაც კი ცნობილი იყო, ჯერ კიდევ 2009 წლის ოქტომბერში. ამასთან, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ დაზარალებულის მხრიდან ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო სარჩელები სხვა ეპიზოდებზე აღძრულია 2009 წლის სექტემბერსა და ამავე წლის ნოემბერში, რომლებიც 2010 წლის 15 აპრილის განაჩენით დაკმაყოფილებულია. აღნიშნული, საკასაციო პალატის განმარტებით იმაზე მიაჩნია, რომ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ზიანისა და ზიანის მიმყენებელი პირების შესახებ და მას გააჩნდა შესაძლებლობა, მოცემულ ეპიზოდთან დაკავშირებითაც სისხლის სამართლის საქმეზე წარედგინა სამოქალაქო სარჩელი.⁸⁰

სრულიად გასაზიარებელია საკასაციო პალატის განმარტება, რომ ზიანის ანაზღაურება, როგორც მატერიალურ სამართლებრივი ინსტიტუტი ვერ დაუკავშირდება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენს. ეს უაღრესად დააკნინებდა ამ სამართლებრივ ინსტიტუტს, ხოლო ზიანის მიმყენებელი პირისა და ზიანის ანაზღაურების ფაქტის დადგენა მხოლოდ ასეთი განაჩენით უაღრესად შეზღუდავდა საზოგადოდ ზიანის ანაზღაურების სამოქალაქო-სამართლებრივ გაგებასა და არარად აქცევდა ასეთი მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას სისხლის სამართლის პროცედურისა და კანონიერი განაჩენის გარეშე. ზუსტად იგივე ვითარებაა ასეთი საქმეებიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებითაც. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს

⁸⁰ ას-1322-2018, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. (04.04.2019) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2019, N7

განაჩენი არ არის ერთადერთი, რითაც შესაძლებელია ზიანის მიყენების ფაქტის ან ზიანის მიყენებული პირის დადგენა.⁸¹

საბოლოოდ, ვიზიარებთ განვითარებულ მსჯელობას, რომ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებული ზიანის მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ ვადის ათვლა დაიწყება ზიანის შეტყობის და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ფაქტობრივი იდენტიფიკაციის მომენტიდან, თუ საკმარისად განსაზღვრადია ზიანის მიმყენებელი პირის ვინაობა.⁸²

7.5. უპირატესი დაცვის სტანდარტი

მამასადამე, აღნიშნული რეგულირებით დაწესებულია უპირატესი დაცვითი სტანდარტი დაზარალებულისათვის, რაც, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, არათანაზომიერად აზარალებს მოვალეს. მაგალითისათვის, ზიანის შესახებ მხარეს შეეძლო შეეტყო ხელშეკრულების დადების მომენტში ან მისი შესრულებისთანავე, მან კი უხეში გაუფრთხილებლობით ამის შესახებ მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეიტყო. ის უფლებამოსილი იქნება ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს დელიქტის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად.

მართალია, ხანდაზმულობის ვადის ათვლის ერთიანი სტანდარტის შემუშავების მიზნიდან გამომდინარე 130-ე მუხლის გავრცელება დელიქტურ მოთხოვნებზეც შესაძლებელია გონივრული იყოს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ დელიქტური ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელიც კია სპეციალური მომწესრიგებელი ნორმა. არსებობს მოსაზრება, რომ ვადის ათვლა მიბმული იყოს დაზარალებულის მიერ კონკრეტული ინფორმაციის შეტყობის დროზე ან უკიდურეს შემთხვევაში, მოხდეს 130-ე მუხლის წინაპირობების მოდიფიკაცია და ბრალეული ცოდნის უფრო მაღალი სტანდარტის - უხეში გაუფრთხილებლობის დაწესება.⁸³

მიუხედავად ამ მოსაზრების გონივრულობისა, მიმაჩნია, რომ დელიქტური ურთიერთობები მკვეთრად სპეციფიკურია. საქმე ეხება ზიანს, რომელიც სრულიად გაუთვალისწინებლად და სრულიად არაპროგნოზირებადი პირისგან შეიძლება დადგეს ათასგვარ სიტუაციაში და ამიტომ, ჩემი აზრით, არამიზანშეწონილია კანონში ცვლილების შეტანა და მისი 130-ე მუხლის დანაწესთან „მიახლოება“.

⁸¹ ას-1322-2018, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. (04.04.2019) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2019, N7

⁸² ას-1322-2018, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. (04.04.2019) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2019, N7

⁸³ ბათლიძე, გ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 3)

დელიქტის მომწესრიგებელი ნორმის სპეციფიკური ხასიათი, ვფიქრობ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს არათანაზომიერი მოვალისადაში, თუ ერთი და იმავე ფაქტობრივი შემადგენლობის საფუძველზე პირს ექნება ერთი მოთხოვნა სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველით.⁸⁴ ასეთ შემთხვევაში შეიძლება, მოთხოვნა ერთი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველით განხორციელებადი იყოს, მეორეთი კი არა. ზემოთ განხილულ 130-ე და 1008-ე მუხლების დანაწესს შორის სხვაობას მივყავართ სწორედ იქამდე, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მიყენებული ზიანის მოთხოვნა სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძველით შესაძლოა ხანდაზმული იყოს, ხოლო დელიქტიდან არა. ამ შედეგის თავიდან აცილების უკეთესი გამოსავალი ვფიქრობ ის არის, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იმსჯელოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.⁸⁵

ამოსავალია, რომ მოთხოვნის საფუძველთა კონკურენციის შემთხვევაში, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივი საფუძველიდან არის შესაძლებელი, გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს უფლებამოსილებაა.⁸⁶ მოთხოვნის საფუძველის (საფუძველების) ძიებისას, სასამართლომ უნდა განიხილოს ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. ვინაიდან სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს, სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.⁸⁷

ამ უკანასკნელის დასადგენად, სასამართლომ მოთხოვნის საფუძველთა ერთმანეთის პარალელურად არსებობის დროს უნდა იმსჯელოს რამდენად ურთიერთმფარავი ან იდენტურია ხელშეკრულებიდან მოსალოდნელი მხარის ინტერესი და დელიქტით დაცული მხარის ინტერესი. დადასტურების შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნება ხანდაზმულობის მოკლე ვადის გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნათა და მათი შესაბამისი

⁸⁴ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 157)

⁸⁵ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 158)

⁸⁶ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძველების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 163)

⁸⁷ ას-1322-2018, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. (04.04.2019) საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე 2019, N7

ხანდაზმულობის ვადების დამოუკიდებლად განხილვა გასაზიარებელია. განსაკუთრებით მაშინ, თუ დელიქტური მოთხოვნა წარმოშობილია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის ფარგლებს მიღმა.⁸⁸

შესაბამისად, ვეთანხმები პოზიციას, რომ მხარეთა ინტერესების სამართლიანი და თანაზომიერი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ყოველი კონკრეტული შემთხვევა განცალკევებულად უნდა შეფასდეს და არ უნდა მოხდეს ხისტი წესების დადგენა სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების ურთიერთზეგამვლენი თუ გამომრიცხავი მოქმედების შესახებ.⁸⁹

7.6. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ხანდაზმულობის ვადა

ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ვალდებულების შესრულებას არა ერთდროულად, არამედ განსაზღვრული პერიოდების მიხედვით. გარიგებით განსაზღვრული დრო შეიძლება უთითებდეს ვალდებულების შესრულების განსაზღვრულ თარიღზე ან დროის გარკვეულ პერიოდზე, რომლის განმავლობაში ვალდებულება უნდა შესრულდეს. კონკრეტული თარიღის არსებობისას, ვალდებულების „დათქმულ დროს“ შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე, ვალდებულება სწორედ იმ კონკრეტულ დღეს უნდა შესრულდეს, როდესაც განსაზღვრულია ვალდებულების შესრულება.⁹⁰ იგივე წესი გავრცელდება თუ, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს მყიდველისათვის საქონლის მიწოდებას ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ არა ერთდროულად, არამედ ნაწილ-ნაწილ, დროის განსაზღვრული პერიოდებით. ასეთ შემთხვევაში, თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია.⁹¹

განსაზღვრული პერიოდებით შესასრულებელი ვალდებულებების ხანდაზმულობის ვადის ათვლა გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. ვალდებულების პერიოდულად, დროის განსაზღვრულ შუალედებში შესრულების დადგენა მოთხოვნის უფლებას ცალკეულად, ყოველი

⁸⁸ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 159)

⁸⁹ ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. (გვ. 161)

⁹⁰ სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1). (გვ. 723)

⁹¹ ახვლედიანი,ზ. ვალდებულებითი სამართალი, 1999, გვ. 47.

შესრულებისათვის დამოუკიდებლად წარმოშობს⁹² და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადაც კონკრეტული შესრულების დარღვევიდან აითვლება.⁹³

ამგვარ მოთხოვნებზე შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის კუთვნილი თანხის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლომ შეცვალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი მოთხოვნის განხორციელებადობის კონტექსტით. სასამართლომ ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, 15 თვის იჯარის ქირიდან, 7 (შვიდი) თვის ქირის მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნია და განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ვლინდება ვალდებულება, რომლის შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრება. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება ისაა, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება⁹⁴.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება სახეზეა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ვალდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში რეგულარულად თავიდან წარმოიშობა და ეს წარმოადგენს მოთხოვნის ბუნებას (მაგ: ქირავნობა, იჯარა, სარჩოს, ალიმენტის გადახდის ვალდებულება და ა.შ.). ვალდებულების სახეობა დამოკიდებულია ასევე მოთხოვნის წარმოშობის მომენტზე, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია ვალდებულების შესრულების დროით და იმ მომენტით, თუ რამდენი ვალდებულება უნდა შესრულდეს. ვალდებულების შესრულების რამდენი მომენტიც არსებობს, არსებობს იმდენივე ვალდებულება და შესაბამისად, წარმოიშობა იმდენივე მოთხოვნა. ამასთან, მოთხოვნა შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს მომავალში.⁹⁵

საკასაციო სასამართლო ადასტურებს, რომ „პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებასა“ და „ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას“ შორის ფორმალური ნიშნით მსგავსების გამო, მათი ურთიერთგამიჯვნა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია გარკვეულ სირთულესთან, თუმცა, გარიგების ამ ორი სახის გამიჯვნის თვალსაზრისით, გადამწყვეტი უნდა იყოს ის იმანენტური, კონსტიტუციური ნიშნები, რაც მახასიათებელია მხოლოდ “პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებისთვის” და რაც არ არის დამახასიათებელი

⁹² უსგ. N28/2751-14, 2014 წ

⁹³ კვანტალიანი, ნ. (2015). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1)

⁹⁴ სუსგ ას-445-420-2014, 22.04.2015

⁹⁵ სუსგ N8ს-100(კ-20), 23.07.2020

„ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების“ ინსტიტუტისთვის. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულება

სახეზეა მხოლოდ მაშინ და იმ პირობებში, თუ ეს ვალდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში რეგულარულად თავიდან წარმოიშობა და ეს წარმოადგენს მოთხოვნის ბუნებას (მაგ: ქირავნობა, იჯარა, სარჩოს, ალიმენტის გადახდის ვალდებულება და ა.შ.). საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ცალკეული/თითოეული შესრულების პერიოდული ქრონოლოგიური განმეორება არ არის მოთხოვნის ბუნების ნაწილი, პრინციპულია, რომ ვალდებულება დროის სხვადასხვა მონაკვეთში თავიდან წარმოიშვას და მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობა არ იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ კრედიტორმა ერთიანად, წინსწრებით მოითხოვოს მოვალისაგან მომავალში შესასრულებელი ვალდებულებები.⁹⁶

პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების ფარგლებში თითოეული შესრულების მიმართ კანონით განსაზღვრული სამწლიანი ვადა აითვლება ინდივიდუალურად, თუმცა ხანდაზმულობის საკითხის სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს მოთხოვნის წარმოშობისა და პრეტენზიის წარდგენის მომენტი.

7.7. ხანდაზმულობის სხვა სპეციალური ვადები

ხანდაზმულობის მატერიალურ-სამართლებრივი ვადები საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრება. კანონმდებელმა ზოგადი და საერთო ხანდაზმულობის ვადები კოდექსის პირველ ნაწილში, ზოგად დებულებებში განათავსა. არსებობს ასევე სპეციალური ხანდაზმულობის ვადები, რომლებიც კოდექსის სხვადასხვა ნაწილებშია გაფანტული, სამართლებრივი ურთიერთობების სპეციალური რეგულირებისა და მათთვის განსხვავებული ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრის აუცილებლობიდან გამომდინარე.

ზოგადი და სპეციალური ხანდაზმულობის ვადების სწორ გამოყენებას სასამართლო პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ხანდაზმულობა განსაზღვრავს მოთხოვნის აღსრულების შესაძლებლობას. სწორედ ამიტომ, იმის მიხედვით, თუ რომელ ხანდაზმულობის ვადას გამოვიყენებთ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაზე, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს მივიღებთ.

სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებიდან და ბუნებიდან გამომდინარე განისაზღვრება, უნდა გავრცელდეს მასზე სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა, სანივთო უფლებათა ხანდაზმულობის ვადები თუ სპეციალური ხანდაზმულობა. ყოველ

⁹⁶ სუსგ Nბს-100(კ-20), 23.07.2020

კონკრეტულ შემთხვევაში ხანდაზმულობის წესების სწორი მისადაგებისათვის აუცილებელია ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება.⁹⁷

მაგალითად, გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების (განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას) დაცვის ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება: ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი გამოგზავნის დღიდან; ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის 30-ე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მე60 დღეს; ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ (მუხლი 699).

გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების დაცვის ხანდაზმულობის ვადა – 1 წელი. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება: ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას – მისი გამოგზავნის დღიდან; ტვირთის მთლიანად დაკარგვისას – გადაზიდვის შეთანხმებული ვადის გასვლის 30-ე დღიდან ან, თუ ასეთი ვადა არ ყოფილა დათქმული, – გადამზიდველის მიერ ტვირთის მიღებიდან მე-60 დღეს; ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში – გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ (მუხლი 699).

გამოსყიდვის უფლების ხანდაზმულობა – არაუმეტეს 10 წელი. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია (მუხლი 514).

გამქირავებლის მიერ გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან (მუხლი 573). ამავე მუხლით, დამქირავებლის მიერ გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით გამქირავებელზე პრეტენზიის წაყენების ხანდაზმულობის ვადაა 6 თვის განმავლობაში, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან.

განქორწინებულ მეუღლეთა თანასაკუთრების ქონების გაყოფის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი (მუხლი 1171)

ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – 6 თვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოგზაურობის დამთავრების დღიდან (მუხლი 663). აქ საკითხი ეხება ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას და არა ზოგადად მოგზაურობის დასრულების დროს.⁹⁸ გერმანიის სამოქალაქო კოდექსით ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 2 წელია, რაც ქართული სამართლისაგან განსხვავებით ოპტიმალურ ვადას წარმოადგენს. 6 თვე საკმაოდ მცირეა უფლების განსახორციელებლად, რადგან

⁹⁷ როგავა რ, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი 2013 წ.(გვ.15)

⁹⁸ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1999. (გვ. 158)

ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებისას ვალდებულების დარღვევის ფაქტი ტურისტისთვის მოგზაურობის დასრულების დროს ხდება ცნობილი.

ფასიანი ქალაქებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა – 30 წელი დოკუმენტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომიდან (მუხლი 920).

წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი იმ მომენტიდან, როცა ზიანის ანაზღაურების მქონემ გაიგო ან უნდა გაეგო ზიანის, ნაკლის ანდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ (მუხლი 1015).⁹⁹

ქართული სასამართლო პრაქტიკა იცნობს ერთ–ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2012 წლის 5 სექტემბერს მიიღო. აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ გამიჯნა ერთის მხრივ სადაზღვევო ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილი სუბროგაციის ინსტიტუტი და და მეორეს მხრივ ზოგადი რეგრესული მოთხოვნის არსი.

მზღვეველის უფლებები ზიანის მიმყენებლის მიმართ შეზღუდულია იმ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობით, რომელიც არსებობდა ზიანის მიმყენებელსა და დამზღვევს შორის. სწორედ, ეს ურთიერთობა არის მზღვეველის მოთხოვნის საფუძველი სსკ–ის 832–ე მუხლთან ერთად. მაშასადამე, მზღვეველის მოთხოვნაზე ვრცელდება ის ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აწესრიგებს ზიანის მიმყენებელსა და დამზღვევს შორის ურთიერთობას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

⁹⁹ ს. ჯორბენაძე, ვადები სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიხედვით, 2016 წ. (გვ.28)

თავი VIII.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების არსი ის არის, რომ დრო რომლის განმავლობაშიც არსებობდა კანონით გათვალისწინებული გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიდა პირის უფლების დაცვას, არ ჩაითლება კანონით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადაში.

136-ე მუხლით დადგენილი წესის მიზანია, პირისთვის დარღვეული უფლების დაცვის უზრუნველყოფა იმ ვითარებაში, როდესაც მოთხოვნის წარდგენა უფლებამოსილი პირისგან დამოუკიდებელ და ობიექტურად ხელშემშლელ გარემოებათა გამო შეუძლებელია. ნორმით გათვალისწინებულია დამაბრკოლებელ გარემოებათა შეწყვეტიდან ექვსი თვის ვადით ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება, რაც ამ ვადაში კრედიტორს უფლების დასაცავად მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას უქმნის.

როგორც კი აღნიშნული გარემოებები აღმოიფხვრება, ხანდაზმულობის ვადის ათვლა გაგრძელდება და მასში ჩაითვლება მის შეჩერებამდე გასული დრო.

სამოქალაქო კოდექსით ამომწურავადაა დადგენილი ის გარემოებები, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იწვევს. კერძოდ, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ

- ა. ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);
- ბ. სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა;
- გ. კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;
- დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ცნება „დაუძლეველი ძალა“ მოიცავს როგორც სტიქიურ უბედურებას, ისე საზოგადოებრივ მოვლენებს (სამოქალაქო ომი), რომლებიც ტრანსპორტის, სასამართლოსა და სხვა ორგანოების ნორმალური მუშაობის რეჟიმს არღვევენ. იმისთვის, რომ ესა თუ ის მოვლენა დაუძლეველ ძალად დაკვალიფიცირდეს, იგი, უპირველესყოფლისა, უჩვეულო უნდა იყოს, ანუ მოვლენათა ნორმალური მსვლელობისგან ამოვარდნილი და როგორც წესი, წინასწარ გათვალისწინებული და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია- შეუქცევადი. შეუქცევადობა საკმაოდ

ფარდობითი ცნებაა. ამიტომ, კონკრეტული გარემოების დაუძლეველ ძალად კვალიფიკაცია უნდა ემყარებოდეს გარკვეულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას.¹⁰⁰

დაუძლეველი ძალისაგან მორატორიუმი იმით განსხვავდება, რომ ქმნის არა ფიზიკურ, არამედ იურიდიულ დაბრკოლებას.

აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშნული გარემოებები ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იმ შემთხვევაში გამოიწვევს, თუ უფლების დაცვის დამაბრკოლებელი გარემოებები წარმოიშვა და არსებობს:

1. ხანდაზმულობის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში;
2. მოთხოვნის იძულებით დაცვის ექვს თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში, ამ ვადის განმავლობაში.

მაშასადამე, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებათა ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში არსებობა. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ასეთ გარემოებათა წარმოშობის დროს, არამედ ამ გარემოებათა ვადის ბოლო ექვსი თვის მონაკვეთში არსებობას. ასე მაგალითად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის შეჩერებისთვის განმსაზღვრელია უფლების დაცვის დამაბრკოლებელი გარემოების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არსებობა, მიუხედავად იმისა, სამწლიანი ვადის რა მონაკვეთში (თუნდაც ვადის დასაწყისში) წარმოიშვა ასეთი გარემოება. ასეთ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება ბოლო ექვსი თვის დაწყებისთანავე. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა თუ ექვს თვეზე ნაკლებია, უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებათა ამ ვადაში წარმოშობა ყოველთვის გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას. ასე მაგალითად, პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისთვის შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაა დადგენილი (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 15 II მუხლი). ამ დროის განმავლობაში 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებათა წარმოშობა ან არსებობა ხანდაზმულობის ვადას აჩერებს.¹⁰¹

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვალდებულებით ურთიერთობაში მოვალის ან კრედიტორის შეცვლა გავლენას არ ახდენს ხანდაზმულობის ვადის დენაზე, ანუ არ იწვევს მისი ხანგრძლივობის შეჩერებას. საკითხის სხვაგვარად მოწესრიგება წინააღმდეგობაში მოვიდოდა ხანდაზმულობის ინსტიტუტის შემოღების მიზნებთან. ამდენად, ყველა მოქმედება,

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი. (გვ. 136)

¹⁰¹ კვანტალიანი, ნ. (2016). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1) (მუხლი 136)

რომელიც განხორციელებულია უფლებამონაცვლებამდე, თავის იურიდიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს.

ყველა ზემოთჩამოთვლილი საფუძველი ეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როცა პირის მიერ თავისი უფლების განხორციელებას გარკვეული, მისგან დამოუკიდებელი მიზეზები აბრკოლებს. სამოქალაქო კოდექსით ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სხვა საფუძვლებიცაა გათვალისწინებული, რომლებიც არაა დაკავშირებული პირის მიერ სარჩელის წარდგენის ფიზიკურ ან იურიდიულ შეუძლებლობასთან. მაგალითად, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ქორწინების არსებობის მანძილზე(133-ე მუხლი). იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე, ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე. აგრეთვე მეურვეებსა და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა ჩერდება არა იმის გამო რომ პირს მოთხოვნის წარდგენა არ შეუძლია, არამედ იმ თავისებურებების გამო, რაც მეუღლეების, მშობლების და შვილების, მეურვისა და სამეურვეო პირის ურთიერთობებს ახასიათებს. ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება აგრეთვე, თუ მოთხოვნა მომდინარეობს ქმედუწარო ან შეზღუდული ქმედუწარიანი პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ანდა მიმართულია ასეთი პირისადმი. ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, ვიდრე პირი სრული ქმედუწარიანი არ გახდება, ან მას არ დაენიშნება წარმომადგენელი. აღნიშნული ნორმა პასუხობს კერძო სამართალში ქმედუწარო ან შეზღუდული ქმედუწარიანობის მქონე პირების ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს.¹⁰²

ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებათა შეწყვეტის შემდეგ მოთხოვნის იძულებით დაცვის ვადა გაგრძელდება ექვს თვემდე, ექვს თვეზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის შემთხვევაში - ხანდაზმულობის ვადამდე. მაგალითად, თუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ვადის მიმდინარეობა შეჩერდა მისი დაწყებიდან ორი წლისა და რვა თვის გასვლის შემდეგ და შეჩერება გაგრძელდა ერთი თვე, ამ ერთი თვის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდება არა დარჩენილი ოთხი თვით, არამედ ექვსი თვით. თუ ხანდაზმულობის ვადა ხუთი თვეა და იგი შეჩერდა ერთი თვის გასვლის შემდეგ, იგი კვლავ ხუთი თვე იქნება, ე.ი. იმდენი, რამდენიცაა ხანდაზმულობის ვადა.¹⁰³

¹⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი.(გვ. 136)

¹⁰³ ახვლედიანი, სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, მუხ. 136, გვ. 330

თავი IX.

ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტა

სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თუ როდის წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა. სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ უფლება რაიმე ფორმით განხორციელდა, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება.¹⁰⁴ კონკრეტულად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. აგრეთვე, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ უფლება განხორციელდა რაიმე ფორმით, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება.

9.1.სარჩელის შეტანა, როგორც ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი

უფლების განხორციელება იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას, რადგან ხანდაზმულობა უფლების იძულებით განხორციელების გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს.¹⁰⁵

ხანდაზმულობის ვადის დასასრული უკავშირდება პირის მიერ სასამართლოში სარჩელის შეტანას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მისი ნება, რაც სარჩელის წარდგენაში გამოიხატება. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის ბოლო მომენტს განსაზღვრავს პირის ნების გამოვლენა, დაიცვას თავისი უფლება სასამართლო წესით.

სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას უკავშირებს სარჩელის შეტანას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან დასადგენად, ანდა სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვას მოთხოვნის არსებობის შესახებ. რა ხდება მაშინ, თუ პირი მიმართავს არა სასამართლოს, არამედ არბიტრაჟს? ზოგადად, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, საარბიტრაჟო განხილვის დაწყება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტის საფუძველი, თუ გამოსაყენებელი სამართალი ამას ითვალისწინებს. მართალია, სამოქალაქო კოდექსში ამგვარი ჩანაწერი არ გვხვდება, თუმცა, გასაზიარებელია უზენაესი სასამართლოს მიდგომა, რომელმაც, საქართველოს სამოქალაქო

¹⁰⁴ ამირანაშვილი, გ. უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი 2013 წ. (გვ.64)

¹⁰⁵ ბიჭია შ. ხანდაზმულობა სისხლის სამართალში (დისერტაცია სისხლის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)2010 წ. (გვ. 46)

საპროცესო კოდექსის პირველი მუხლისა და მე-12 მუხლის შესაბამისად, განმარტა, რომ სამოქალაქო სარჩელი განხილვისათვის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს როგორც სასამართლო, ისე არბიტრაჟი, მხარეთა ასეთი ნების არსებობის შემთხვევაში. მართალია, საქართველოში სამართალწარმოება ხორციელდება საერთო სასამართლოების მეშვეობით, მაგრამ `არბიტრაჟის შესახებ` კანონის მიღებით სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართალწარმოების ალტერნატიულ საშუალებას. ამდენად, პირის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენა გამოიწვევს შესაბამისი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას. მაშასადამე, სამართლებრივი სისტემა საშუალებას აძლევს კრედიტორს, განახორციელოს თავისი მოთხოვნა მოვალის მიმართ სახელმწიფოს დახმარებით, კერძოდ, სასამართლოში სასარჩელო წარმოებით ან არბიტრაჟის მეშვეობით.¹⁰⁶

სასამართლო პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ 138-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა შესაბამისი უწყებისთვის მიმართის გზით შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობისას: სამართლებრივი საშუალების გამოყენება უნდა მოხდეს უფლებამოსილი პირის მიერ ვალდებული პირის მიმართ; უფლებამოსილი პირის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი უნდა იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. კერძოდ, არჩეული საშუალებით მიმართვა უნდა განხორციელდეს ისეთ უწყებაში, რომელიც კომპეტენტურია განსახილველ საკითხზე რეაგირების მოსახდენად და არ წარმოადგენს არასათანადო უწყებას.¹⁰⁷

საინტერესოა, მოხდება თუ არა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა, როდესაც პირი სასამართლოს მიმართავს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით და ამ მომენტისათვის მას ეწურება ხანდაზმულობის ვადა, სასამართლო პრაქტიკით ეს შემთხვევა არ წარმოადგენს შეწყვეტის საფუძველს. ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების თაობაზე ვერ იქნება მიჩნეული ამ ნორმით გათვალისწინებულ განცხადებად. ამგვარი განცხადების წარდგენისას სასამართლოს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, იმსჯელოს და არსებითად გადაწყვიტოს სადავო საკითხი. გარდა ამისა, ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის ისეთი განცხადება წყვეტს, რომელიც ექვემდებარება სასამართლო წარმოებაში მიღებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადება ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებს რომ აკმაყოფილებდეს, იგი უნდა ემსახურებოდეს უფლების დადგენას ან დაცვას. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი კი მდგომარეობს

¹⁰⁶ ამირანაშვილი გ, უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013 წ. გვ 65

¹⁰⁷ სვანაძე გ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 138.

მოსარჩელისათვის იმგვარი წინაპირობის შექმნაში, რომ, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მოხდეს სასამართლო გადაწყვეტილების რეალიზაცია და მისი ეფექტური აღსრულება, ე.ი. უკვე დადგენილი უფლების განხორციელება.¹⁰⁸

სადავო შეიძლება იყოს, გამოიწვევს თუ არა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას სარჩელის შეტანა, თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქმე თავის განსჯადობას არ განეკუთვნება. როგორც ლიტერატურაში მიუთითებენ, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენა, ზოგადი წესის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ იწვევს. თუმცა, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ თუ სასამართლო მიიღებს სარჩელს წარმოებაში და შემდგომ გამოარკვევს, რომ სარჩელი წარდგენილია არაგანსჯად სასამართლოში, მაშინ ვადა შეწყვეტილად უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც სასამართლომ ამ შემთხვევაში ან უნდა განიხილოს საქმე, ან უნდა გადასცეს იგი განსახილველად განსჯად სასამართლოს.¹⁰⁹

ახლა კი განვიხილოთ შემთხვევა, როცა სარჩელი განსჯად სასამართლოშია შეტანილი, თუმცა სარჩელს არ მიიღებს წარმოებაში

9.2. ვალის (მოთხოვნის) აღიარება, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი

ვალის აღიარება, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გამოიხატოს მოვალის ნებისმიერი მოქმედებით. იგი წარმოადგენს უფლებამოსილი პირის წინაშე განხორციელებულ მოვალის ფაქტობრივ ქმედებას, რომლითაც არაორაზროვნად დასტურდება შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შესახებ მოვალის აღქმა. ვალის აღიარებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება:

მოთხოვნის აღიარებად ითვლება მხოლოდ მოვალის აქტიური მოქმედებები, რომლებიც ადასტურებენ მის მიერ ვალის აღიარებას. ყველა სხვა მისი ქმედება, კერძოდ კი უმოქმედობა (მაგალითად, რეაქციის არქონა კრედიტორის მოთხოვნაზე) არ წყვეტს ხანდაზმულობის ვადის დენას. ნაწილი ისეთი მოქმედებებისა, რომლებიც მოთხოვნის აღიარებად ჩაითლება, მითითებულია 137-ე მუხლში. ესენია, ავანსის, პროცენტის გადახდა ან გარანტიის მიცემა. თუმცა, პრაქტიკაში შესაძლებელია ვალის სხვა მოქმედების განხორციელებით აღიარება.

¹⁰⁸ ამირანაშვილი გ, უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013 წ. გვ 66

¹⁰⁹ ამირანაშვილი გ, უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013 წ. გვ 66

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ვალის მარტივი აღიარება, კაუზალური და აბსტრაქტული აღიარებები.¹¹⁰ მარტივი აღიარების შემთხვევაში მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი. კაუზალური აღიარება მიმართულია არსებული სამარლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და ბუნებრივია უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს. სკ-ის 341-ე მუხლით მოწესრიგებული ვალის აბსტრაქტული აღიარება მარტივი აღიარებისაგან განსხვავდება მისი აბსტრაქტული ბუნებით.¹¹¹ იგი თავად წარმოშობს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას და დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოშობს. მის მიმართ ხანდაზმულობის ვადაც დამოუკიდებლად აითვლება.¹¹²

თავისი სამართლებრივი ბუნებით, ვალის აღიარება, რა ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს, იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებაა და მისი განხორციელება მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ, აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ იურიდიული პირის სახელით ვალის აღიარება მხოლოდ წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირებს შეუძლიათ.

მოთხოვნის აღიარების ერთ-ერთი ფორმაა, აგრეთვე, გაკოტრების ან რეაბილიტაციის პროცესში კრედიტორის მოთხოვნის დაფიქსირება, გაკოტრების ტაბულაში მისი შეყვანა.

ვალის აღიარება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, როცა მოვალის მოქმედება კრედიტორისკენაა მიმართული. როგორც წესი, მხოლოდ ამ შემთხვევაშია კრედიტორისთვის ნათელი, რომ მოვალე თავს არ არიდებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, არამედ, შეუძლია მშვიდად დაეყრდნოს მის სურვილს და ამით რისკის ქვეშ არ დააყენოს სასამართლო დაცვის უფლება. ვალის ასახვა მხოლოდ შიდა დოკუმენტებში, რომელზეც კრედიტორს ხელი არ მიუწვდება, ვალის აღიარებად არ ჩაითვლება.

ვალის აღიარებად მხოლოდ მოვალის ერთმნიშვნელოვანი და ნათლად გამოვლენილი ნება ჩაითვლება. თუ წერილობითი დოკუმენტებიდან ან მისი მოქმედებებიდან ნათლად არ ირკვევა, რომ მოვალე ვალს აღიარებს, ყოველგვარი ეჭვი მის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ვალის აღიარებად არ ჩაითვლება მხარეთა მოლაპარაკებები საკითხის გადაწყვეტის თაობაზე, თუ ასეთი მოლაპარაკების დროს მოვალემ სრულიად ნათლად არ აღიარა ვალის არსებობა.¹¹³

¹¹⁰ სუსგ Nას-679-633-2017

¹¹¹ სუსგ Nას-383-364-2015

¹¹² რუსიაშვილი გ. მოთხოვნის არსებობის „სხვაგვარად“ აღიარება, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020. გვ 86.

¹¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010)პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი.(გვ.142)

9.3. ხანდაზმულობის ვადის დენის ხანგრძლივობა

სამოქალაქო კოდექსის 139-ე მუხლი ადგენს, რომლის განმავლობაშიც გრძელდება ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილია. კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კონკრეტულ საპროცესო-სამართლებრივ შედეგებზე. კერძოდ, ვადის დენის შეწყვეტა გრძელდება (ა) სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან (ბ) პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ეს არის დრო სარჩელის შეტანიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, ან პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე. შესაბამისად სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადებით მიმართვიდან ამ ორგანოს მიერ განცხადების განხილვის დასრულებამდე.¹¹⁴ მაშასადამე, ეს ნორმა ანალოგიით სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვის შემთხვევაშიც გამოიყენება შესაბამისი წინაპირობებისას.

პროცესის სხვაგვარად დასრულების ქვეშ, უპირატესად, საგულისხმოა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIX თავით განსაზღვრული გადაყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის წარმოების დამთავრების შემთხვევები, როგორც არის საქმის წარმოების შეწყვეტა (სსსკ-ის მუხლი 272) და სარჩელის განუხილველად დატოვება (სსსკ-ის მუხლი 275). თუმცა, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საქმის წარმოების ყველა სახის შეწყვეტა და სარჩელის განუხილველად დატოვება არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის სარჩელის შეტანის გზით შეწყვეტას.

თუ მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას პროცესის შეწყვეტის შესახებ ან თუ პროცესი, მისი შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენაც წყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დასრულებასთან ერთად. მსგავსი ფორმით შეწყვეტილი ხანდაზმულობის ვადის ახლიდან ათვლა დაიწყება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დასრულებასთან ერთად. ხოლო ასეთი ფორმით ახლიდან ათვლილი ხანდაზმულობის ვადის დენა ისევ შეწყდება, თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს.¹¹⁵

¹¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 3კ/1186-01

¹¹⁵ სვანაძე, გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 142.

თავი X. კვლევის შედეგები

დასკვნა

სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა, მართალია, კრედიტორის უფლების დაკარგვას არ იწვევს, მაგრამ მოთხოვნას ფაქტობრივად განუხორციელებლად აქცევს და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ვალდებულების ნაწილში ძალას კარგავს. ფაქტობრივად, ძალას კარგავს მხარეთა შორის დადებული, ნამდვილი ხელშეკრულება, რაც სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოება შესაძლოა გახდეს. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ვადა გონივრულობით გამოირჩეოდეს, უზუსტესად იქნეს გაწერილი მისი ათვლისა და შეწყვეტის მომენტები და, რაც მთავარია, ემსახურებოდეს იმ ლეგიტიმურ მიზანს, რისთვისაც იგი დაწესდა.

ხანდაზმულობის მიზანი მოვალის დაცვა და დროის გასვლის გამო მტკიცების სირთულეებისგან მისი გათავისუფლებაა. ხანდაზმულობის ვადების დაწესებით, კანონმდებლის მიზანია, ასევე, გამოირიცხოს კრედიტორის უფლებების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. მაგრამ, საკითხი დგება, თუ რამდენად თანაზომიერად იზღუდება კერძო სამართლისათვის არსებითი პრინციპი - ხელშეკრულების თავისუფლება. იმ რეალობაში, სადაც კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვას, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გაკონტროლებას კეთილსინდისიერების პრინციპთან შესაბამისობის ჭრილში და როდესაც კანონმდებლობით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი, აუცილებლობას არ წარმოადგენს უკლებლივ ყველა ხანდაზმულობისათვის იმპერატიული ვადების დაწესება. თუ მხარეებს (გარკვეულ შემთხვევებში) შესაძლებლობა ექნებოდათ შეეცვალათ შეთანხმებით ხანდაზმულობის ვადები, დღევანდელი სამართლებრივი რესურსების დამსახურებით დაცული იქნებოდა მოვალეც, სამართლებრივი სტაბილურობაც და ხანდაზმულობის ინსტიტუტიც ნაკლებად გადაეკვეთებოდა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს.

გარდა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის დაცვისა, ხანდაზმულობის ვადებისათვის დისპოზიციური ბუნების მინიჭებით, კანონმდებელი თავად მხარეებს გადასცემდა იმ პასუხისმგებლობას, როგორცაა გონივრული ხანდაზმულობის ვადების დაწესება. დღეისათვის კი, თუ შევადარებთ სხვა ქვეყნების სამართალს, ხანდაზმულობის

ვადები მცირეა. ასეთი მცირე ხანდაზმულობის ვადების უპირატესობა კონფლიქტების ადრეული მოგვარება და სასამართლოების განტვირთვაა, მაგრამ მათი დადგენით მიღებული უსამართლობა აჭარბებს სარგებელს. კრედიტორს უნდა გააჩნდეს საკმარისი დრო, რომ საკუთარი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს. საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ასეთი მცირე ვადის დენის დაწყების მომენტი ზუსტად განსაზღვრული არ არის.

მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. რაც შეეხება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადას, იგი სამი წელია იმ მომენტიდან, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მაშასადამე, ხანდაზმულად არ ჩაითვლება მოთხოვნის დაყენება, თუ ზიანის ფაქტი მოგვიანებით გამოვლინდა. განსხვავება ლოგიკურია, რადგან დელიქტი და სახელშეკრულებო ურთიერთობა ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდება. მაგრამ საკითხი მწვავედება, როდესაც დარღვეული უფლების შესახებ შეტყობასა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ გაგებას განსხვავებული ინტერპრეტაციები და მნიშვნელობები მიეცემა. მაგალითად, როდესაც სახეზეა დანაშაულის გზით მიყენებული ზიანი, სასამართლო ზიანის შეტყობას და ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ზუსტი იდენტიფიკაციის მომენტს უკავშირებს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დადგომას, რაც სამოქალაქო კოდექსის ნორმიდან პირდაპირ არ დგინდება და შეიძლება ითქვას მთლიანად ნორმის ინტერპრეტაციაა. პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის არც ამ უკანასკნელ შემთხვევაში. დაუკავშირებს თუ არა ხანდაზმულობის დაწყებას კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დადგომას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წესით ითხოვს დაზარალებული მიყენებული ზიანის დადგომას.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ხანდაზმულობის ვადების სამართლებრივი რეგულირება საჭიროა საკანონმდებლო დონეზე გადაიხედოს. მართალია, სასამართლო პრაქტიკა იცვლება დროის და თემის აქტუალურობის შესაბამისად, მაგრამ მივდივართ ფაქტამდე, რომ ასე იმპერატიულად გაწერილი ხანდაზმულობის ვადები საბოლოოდ ინტერპრეტაციის საგანი ხდება. კვლევა აჩვენებს, რომ კოდექსში, გარკვეული იმპერატიული ნორმებისათვის სასურველია სახელშეკრულებო თავისუფლების მინიჭება, ხოლო ზოგიერთი ნორმა სჯობს უფრო ზუსტად და დეტალურად იქნას მოწესრიგებული.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა

- ავტორთა ჯგუფი. (2020). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები. ამირანაშვილი, გ. (2013). უფლებამოსილი პირის სასამართლოსადმი მიმართვის გავლენა სასარჩელო ხანდაზმულობაზე. სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი. ახვლედიანი. (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 128. ახვლედიანი, ზ. (1999). ვალდებულებითი სამართალი.
- ბათლიძე, გ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი
ბათლიძე, გ. ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, გამოცემა, 2015 წ.
- ბიჭია შ. ხანდაზმულობა სისხლის სამართალში (დისერტაცია სისხლის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)2010 წ.
- ბიჭია მ, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“
- ზარანდია, თ. (2013). ფაქტი ვს უფლება: მფლობელობა და საკუთრების უფლება - ურთიერთმიმართება ქართული და ფრანგული სამსართლის მიხედვით. . თბილისი.
ზარანდია, თ (2005). სახელმწიფოებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები. თუმანიშვილი, გ. (2012). შესავალი საქართველოს კერძო სამართალში.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2009). იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი . თბილისი.
კვანტალიანი, ნ. (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი 1).
- კროპკოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. 2014 წ.
მახათაძე ნ. სახელმწიფოებო მოთხოვნების სასარჩელო ხანდაზმულობის სპეციალური ვადების მიმართება საერთო ვადებთან. 2019 წ.
- მესხიშვილი, ქ. (2016). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III.
ნაჭყებია, ა. (თ. გ.). სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013).
- რუსიაშვილი გ. მოთხოვნის არსებობის „სხვაგვარად“ აღიარება, როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „სპექტრი“, მ. ბიჭია. (2017). არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო. (2010). პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის. თბილისი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე. (2007).

სვანაძე, გ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, (2016 წ.)

¹ ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა - ფაქტი და უფლება. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი N2, 2009 ქოჩაშვილი ქ. მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმფციის საფუძველი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2012 წ.

შენგელია, რ. (თ. გ.). საავტორო სამართალში მოქმედი ვადები.

ჩაჩავა, ს. (2010). მოთხოვნების და მოთხოვნების საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში.

ჩაჩანიძე თ. სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, თბილისი, 2004 წ.

ძლიერიშვილი, ზ. (1997). ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე.

ჭანტურია, ლ. (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი.

ჭეჭელაშვილი ზ, სანივთო სამართაკუ, თბილისი, 2006 წ.(გვ.

ჯგუფი, ა. (2020). შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი.

ჯგუფი, ა. (თ. გ.). საქართველოს სამოქალაქო სამართლის საფუძვლები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

ჯორბენაძე ს. ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017 წ.

სასამართლოების გადაწყვეტილებები/განჩინებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1196-1138-2014

საქართველოს უზენაესი სასამართლოს Nას-431-409-2012 განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს Nბს-100(კ-20), 23.07.2020

საქართველოს უზენაესი სასამართლოს Nას-1210-2018, 15 თებერვალი, 2019 წელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმე Nას-395-374-2013)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს Nას-1070-1337-09 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 10/2011

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 ოქტომბრის Nას-438-726-05 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის #ას-858-807-2010 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 12/2012

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 2 დეკემბრის N ას-584-552-2011 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 11 ივნისის N ას-547-515-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N ას-1322-2018, (04.04.2019)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-1322-2018,.(04.04.2019)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N2ბ/2751-14, 2014 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N ას-445-420-2014, 2015 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nბს-100(კ-20), 23.07.2020

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-679-633-2017

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება Nას-383-364-2015

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება № 3კ/1186-01

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2ბ/5464-13

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საქმე N2/ბ6250-16, 2018 წ.

უცხოენოვანი ლიტერატურა

New law of obligations in Germany, Manfred LOWISCH. 2003.

Periods of limitation and Other Time Limits in Europe, Commercial law group. 2014.

ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ინტერნეტ რესურსი

www.library.court.ge

www.matsne.gov.ge

www.supremecourt.ge

www.temida.mylaw.ge

www.tsu.ge

www.myadvokat.ge